საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ორშაბათი-სამშაბათი, 21-22 დეკემბერი. 2020 წ. №184-185 (9110-9111) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გრიგოლ ონიანი:



დავიცვათ აღამიანი!

3

რჩევა ბიძინა ივანიშვილს: იქნებ საბოლოოდ შეელიოთ პოლიტიკას! გადადი ბიზნესზე, საქართველოს წელში გასამართ ბიზნესზე, თუ შეგიძლიათ და თუ გიყვართ საქართველო, შენი სამშობლო. არც მე ვარ ჭყონდიდელი და არც შენ – დავით მეფე, მაგრამ ძალიან მინდა, არ დაივიწყო დავით აღმაშენებლისთვის გიორგი ჭყონდიდელის მიერ ნათქვამი: „თუ გინდა ძლიერი საქართველო, ღირსება დაუბრუნე ხალხს“.

შური – გზა ჯოჯოხეთისკენ!

ბონდო ქობულია:

4

პოლიტიკური გორსალიზმი

ოპოზიციის უტიფრობა და თავგასულობა

ვემშვიდობებით ჭეშმარიტად სახალხო არტისტს გოგი ქავთარაძეს!



80 წლის ასაკში ცნობილი რეჟისორი და მსახიობი **გოგი ქავთარაძე** გარდაიცვალა.

გოგი ქავთარაძე 1963-1969 და 1972-1976 წლებში იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი, რეჟისორი; 1969-1972 წლებში ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი, ხოლო 1974-1976 წლებში თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი. 1976-1982 წლებში ქუთაისის თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი. 1982-1992 წლებში – სოხუმის თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, ხოლო 1992-1999 წლებში ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი; 1999-2004 წლებში რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 2012 წელს გახდა პარლამენტის წევრი. იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი და ღირსების ორდერის კავალერი. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

მოსკოვური უმადურობა

რუსებმა კუნცევოში იოსებ სტალინის მიერ დარგული ვაშლის ხეები გაჩეხეს...

***წუხელ**, იოსებ სტალინის დაბადების დღე რომ თენდებოდა, ინტერნეტით გავრცელდა ცნობა, რომ კუნცევოში, სტალინის საზაფხულო აგარაკზე, ქართველთმოძულე ანტისტალინელებმა თავის დროზე გორიდან ჩატანილი და სტალინის მიერ დარგული ვაშლის ხეები გაჩეხეს.*

სულაც ეს უმნიშვნელო დეტალი არ არის. პირიქით, რუსული და პირადად პრეზიდენტ პუტინის მიზეზით გაჩენილ ქართულ-რუსულ განხეთქილებაში „სტალინის ვაშლიც“ ჩარიეს ახალ „განხეთქილების ვაშლად“.

აქ, ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ გავიხსენებთ დიდ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც გულისტკივილით წერდა:

***მას აქეთ, რაც კურთხევა ღვთისა**
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა
ღმერთმა რუსსვე ასკეცად მისცეს.*

გუშინვე საერთაშორისო საზოგადოების „სტალინის“ თავმჯდომარემ გრიგოლ ონიანმა მკაცრი დეპეშა გაუგზავნა პრეზიდენტ პუტინს, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოში ცნობილია, როგორც ოკუპანტი.

იმის მაგივრად, რომ ერთმანეთისკენ მიმავალ გზებს ვეძებდეთ, პუტინი, სამწუხაროდ, ისევ თავის იმპერიალისტურ პოლიტიკას განაგრძობს და ვერ მალავს საქართველოს მიმართ ავდამოკიდებულებას, რასაც ეს დასაძრახი საქციელიც მოწმობს.

დეპეშა საქართველოდან რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს

21 დეკემბერი 2020 წელი

უახლოეს საათებში ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ 18 დეკემბრის ღამეს, მოსკოვში „ახლო აგარაკზე“ – კუნცევოში, მოხდა ვანდალური აქტი: სტალინის დაბადების დღის აღნიშვნას შეხვდნენ სტალინის მიერ გორიდან ჩატანილი ვაშლის ხეების მასიური გაჩეხვით.

თუ მომხდარი ფაქტი დაცვის №1 ობიექტზე თქვენთან შეუთანხმებლად მოხდა, უნდა ვირწმუნოთ თქვენი ოპოზიციის დაჟინებული მტკიცება, რომ ქვეყანას (რუსეთს) პატრონი არა ჰყავს.

მე არ ვსაუბრობ ქართველი ხალხის სახელით. ჩემს ემოციებს ვავლენ დღემდე თქვენი მხარდამჭერი და მსურველი რუსეთის მოქალაქეობის მიღებისა, მაგრამ თუ რუსეთი ისე „გაადურაკეთ“ (სტალინის გამოთქმაა), რომ რუსმა კაცმა ხელში ნაჯახი აიღო და გაჩეხა სტალინის დარგული და ნაფერები, მშობლიური გორიდან ჩატანილი ვაშლის ხეები, ე.ი. რუსეთს და პირადად თქვენ საბოლოოდ გინდათ ფესვები მიაჭრათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რაც ერთხელ კიდევ გამოიწვევს ავადსახსენებელი ხრუშჩოვის და 1956 წლის სისხლიანი 9 მარტის გახსენებას.

უკიდურესად ვიყავი აღშფოთებული იმითაც, რომ თქვენი თავკაცობითა და მონდომებით საქართველოს 20%-ის ძირძველი მიწა-წყალი მიიტაცეთ, მაგრამ მწამდა, რომ დიდი რუსი ხალხის „ხანგრძლივი პოლიტიკა“ დასასრულს მოუძებნიდა არსებულ დამპყრობლურ პოლიტიკას და ადრე თუ გვიან საქართველო თავის ისტორიულ საზღვრებში ჩაჯდებოდა, როგორც ეს მოხდა დიდი სამამულო ომის შემდგომ სტალინის დამსახურებით დაქუცმაცებული სლავური სამყაროსა და სასირცხვილოდ დაშლილი რუსეთის იმპერიისთვის.

თქვენი განწყობა სტალინისადმი ცნობილია მთელ მსოფლიოში და სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ ანგლო-საქსების საამებლად, საზეიმო დღეებში, მთელ მსოფლიოში ცნობილ წითელ მოედანზე აღმართული მავზოლეუმის ტრიბუნა, სადაც 1941 წლის ისტორიული 7 ნოემბრის დიდ დღესასწაულზე დიდი რუსი მხედართმთავრების სახელით, სტალინი მოუწოდებდა მოსახლეობას ერთიანი ძალით აღმდგარიყო მსოფლიოს გადასარჩენად და თვით უმაღლესი მთავარსარდლის საფლავს, მეორადი საამშენებლო პანელებით ფარავთ, რათა გამანთავისუფლებელმა რუსმა ხალხმა, მთელი მსოფლიოს ხალხებთან ერთად, არ დაინახოს ეს ლეგენდად ქცეული ადგილი და ზეადამიანის საფლავი.

თუ თქვენთვის ასე სასირცხვილოა სტალინის სახელი, მისი სახის პროფილი და საფლავი, მოგმართავთ, სტალინის ნეშტი დაუბრუნოთ მის მშობლიურ საქართველოს, რათა ქართველი კაცი განისვენებდეს ქართულ მიწაში. თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პირადად მე, საზოგადოება „სტალინის“ სახელით, კანონიერი მოთხოვნით მივმართავ ჰაგის სასამართლოს.

ჩემს პირად დამოკიდებულებას თქვენს მიმართ შევცვლი იმით, რომ შევუერთდები მებრძოლი რუსი პატრიოტი ინტელიგენციის სამართლიან ბრძოლას თქვენს წინააღმდეგ.

გრიგოლ ონიანი,
საერთაშორისო საზოგადოების „სტალინის“ თავმჯდომარე

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი ორი წლით გახანგრძლივდა

ევროკავშირის საბჭომ საქართველოში განთავსებულ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას მანდატი 2 წლით, 2022 წლის 14 დეკემბრამდე გაუხანგრძლივა.

როგორც მისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია აღნიშნული, 3 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილებით, საბჭომ 2020 წლის 15 დეკემბრიდან 2022 წლის 14 დეკემბრამდე პერიოდისთვის მისიას 44.8 მლნ ევროს ბიუჯეტიც გამოუყო.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განთავსდა და ის უიარაღო დამკვირვებლებისგან შედგება, რომლებიც ადგილზე სიტუაციის სტაბილურობას უწყობენ ხელს, თუმცა მათ საქართველოს ორ ოკუპირებულ რეგიონში შესვლის შესაძლებლობა არ აქვთ.

ეროვნული გვარდია იუბილარია

საქართველოს **თავდაცვის ძალების პირველი ქვედანაყოფის — ეროვნული გვარდიის დაარსებიდან 30 წელი გავიდა. პირად შემადგენლობასა და ვეტერან გვარდიელებს იუბილე ეროვნული გვარდიის უფროსმა, პოლკოვნიკმა რომან ჯოხაძემ მიულოცა. მან საქართველოს მთლიანობისათვის თავდადებულ გვარდიელთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და მათ ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგო.**

საქართველოს ეროვნული გვარდია 1990 წლის 20 დეკემბერს შეიქმნა. ის იყო პირველი სამხედრო ფორმირება, რომლის ბაზაზეც ქართული თავდაცვის ძალები ჩამოყალიბდა და განვითარდა.

ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ. გვარდიელები ჩართულები არიან ასევე, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაშიც. ამჟამად, ეროვნული გვარდიის ნაკრები ოცეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელ მისიაში მეექვსე როტაციას ახორციელებს. საქართველოს ეროვნული გვარდია აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნულ გვარდიასთან, ესტონეთის თავდაცვის ლიგასთან, დანიისა და ნორვეგიის სამეფოების შიდა გვარდიებთან, ლიეტუვას ეროვნული თავდაცვის მოხალისეთა ძალებთან, ლატვიისა და უკრაინის ეროვნულ გვარდიებთან.

ნიკოლოზ სამხარაძე: ვფიქრობ, მოლაპარაკებები მომავალ კვირაში შედგება

ამის **შესახებ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ სამხარაძემ განაცხადა.** ის იმედოვნებს, რომ მოლაპარაკებების საბოლოო რაუნდი შეთანხმების ტექსტით დასრულდება.

„ზუსტ თარიღს დღეს ვერ გეტყვით, როგორც იცით, ამას ელჩები აწესრიგებენ. შესაბამისად, მათი პრეროგატივაა, როდის ჩანიშნავენ ამ შეხვედრას. თუმცა, ვფიქრობ, რომ შეთანხმების სივრცე არსებობს. ძალიან ბევრმა პარტიამ უკვე განაცხადა, რომ ისინი ემიჯნებიან ე.წ.რევოლუციურ და ძალადობრივ სცენარს, რაც ძალიან კარგია. დარჩა რეალურად ორი დესტრუქციული პარტია, რომელიც ამ ძალადობრივ სცენარს აანონსებს. აქედან გამომდინარე, იმ ჯანსაღ ოპოზიციურ პარტიებთან, რომელსაც ქვეყანაში სურთ მშვიდობა და ქვეყნის სტაბილური განვითარება, იმათთან შეთანხმების სივრცე, რა თქმა უნდა, არის. იმედი მაქვს, რომ ეს საბოლოო რაუნდიც შეჯერებული შეთანხმების ტექსტით დასრულდება“, — განაცხადა ნიკოლოზ სამხარაძემ.

მოლაპარაკე, მავნებელთა პარტია იცოცხლებს გაზაფხულამდე?!

ჩვენი **გეგმაა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაინიშნოს ქვეყანაში არჩევნები, გაზაფხულზე ქუჩიდან ვიბრძოლებთ,** — ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ზაალ უდუმაშვილმა პარტიის ოფისში, პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„ოპოზიციამ უარი თქვა საპარლამენტო მანდატებზე. შესაბამისად, სივრცე, სადაც ჩვენ ვიქნებით წარმოდგენილნი, დიახ, ეს იქნება ქუჩა. მერწმუნეთ, ეს ადგილი არანაკლებ აქტუალური იქნება, ვიდრე საპარლამენტო ტრიბუნა. შეიძლება, უფრო ძლიერიც იყოს. ჩვენ, ყველა იმ პარტიასთან ერთად, რომელთანაც ერთ მაგიდასთან ვსხედვართ, შევიმუშავებთ ძალიან მწყობრ გეგმას, თუ როგორ უნდა დაიწყოს პოლიტიკური პროცესები გაზაფხულიდან“.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ პარტიის თავმჯდომარის პოზიციაზე ორი კანდიდატი, ნიკა მელია და ლევან ვარშალომიძე შეარჩია. ზაალ უდუმაშვილის განცხადებით, თვის ბოლოს გაიმართება პარტიის ყრილობა, სადაც ახალ თავმჯდომარეს „ელექტრონულად“ აირჩევენ.

იმედს ჩაბღაუჭებულნი...

მამის მიყვანის საახალწლო სურვილი თოვლის პაპას...



ზაზა **გახელაძის** **დაკავების** **შემდეგ 5 თვე გავიდა.** 154 დღეა, ნანა ბუნტური ყოველდღე თვალცრემლიანია, ყოველდღე ცხინვალიდან ახალ ამბავს ელოდება შვილის მდგომარეობისა და მისი გათავისუფლების იმედით, მაგრამ ეს ლოდინი, უკვე დიდი ხანია, გრძელდება. ნანა ბუნტური ზაზა გახელაძის დედაა. ის შვილიშვილებს ყოველდღე აიმედებს, რომ მამა მალე დაბრუნდება, თუმცა...

„იქნებ ჩემს შვილიშვილებსაც მოუვიდეთ ახალი წელი და გამოუშვან მამამისი. დაგვეხმაროს მთავრობა. ყველას ვთხოვთ დახმარებას, ვისაც შეუძლია. ჩვენ აღარც წითელი ჯვარი გვეხმიანება და არც არავინ. ტანსაცმელი, სექტემბერში რომ გავუგზავნეთ, ნოემბერში შეუტანეს, ისე, რომ „ტაპკებზე შნუროკებიც“ კი მოხსნეს, არ შეიძლებაო. საკუთარი გაფორმებული იარაღი ეკიდა მხარზე და იმითი წავიდა. კაცი არ მოუკლავს, არავინ გაუძარცვავს. ათასნაირი დამნაშავე არსებობს, ჩემს შვილს ვერანაირ დანაშაულს ვერ დააბრალებენ. 5 თვე, ხალხო, ხუთი დღე და 5 საათი ხომ არ არის? მსოფლიომ გაიგო და განა რა გახდა ჩემი შვილის გამოშვება. ჩვენი დამხმარე არავინაა, ყველა გვითანაგრძნობს, ყველა გვეუბნება, ძალიან ვწუხვართო, მაგრამ არავის არაფრის გაკეთება არ შეუძლია, კაცო? ყველა ჩემნაირი საწყალი და საცოდავია ამ ქვეყანაზე? ჩვენთვის არავინ გამოდგა, არც ხელისუფლება და არც არავინ“.

ჟენევის დისკუსიის დასრულების შემდეგ ზაზა გახელაძის ცოლს, ირმა ბუთხუზს, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაურეკეს იმის სათქმელად, რომ მოლაპარაკებამ კარგად ჩაიარა და შესაძლოა შედეგი მალე დადგეს. ოჯახი ამ შედეგის დადგომას, უკვე 5 თვეა, ელოდება. ირმა ბუთხუზს და ზაზა გახელაძეს ორი პატარა გოგო ჰყავთ. ბავშვები მამის მოლოდინში არიან და მათი საახალწლო სურვილიც მამის შინ დაბრუნებაა.

„ეს ჩვენთვის ტანჯვა-წამების 5 თვეა. ყოველ დღეს რაღაც ახლის მოლოდინში ვართ, მაგრამ... ბავშვებისთვის კი ეს საახალწლო დღესასწაულიც, ალბათ, კოშმარულია. თოვლის პაპას იმიტომ ელოდებიან, იქნებ მამა მოგვიყვანოსო. იქნებ ჟენევის მოლაპარაკების შემდეგ რაიმე შეიცვალოს და რაიმე სიახლე იყოს. დღეს დაგვაიმედეს, რომ მოლაპარაკებამ წარმატებით ჩაიარა და შესაძლოა რაღაცა შეიცვალოს“.

გახელაძეების ოჯახს პერიოდულად ცხინვალიდან სახაზინო ადვოკატი ეკონტაქტება. დაკავებულის ნომბერში ჩანიშნული სასამართლო პროცესი გადაიდო. ადვოკატის თქმით, საქმეში მონაწილე პირებმა მასალების გაცნობა ვერ მოასწრეს, კიდევ ერთი პროცესი კი დეკემბრის ბოლოს დაინიშნა.

„სასამართლო ცხინვალში 24 დეკემბრამდე გადადეს. მიზეზად ის დაასახელეს, რომ მასალები ბოლომდე არა აქვთ შეკრებილი და რუსებსაც ვერ გააცნეს. იმედია, ამას მალე გააკეთებენ და იქნებ ახალ წლამდე ზაზას გათავისუფლებაც მოხერხდეს“, — ამბობს ირმა ბუთხუზი.

ოჯახში ხშირად იხსენებენ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის ამბავს, რომელიც გასული წლის ბოლოს დე ფაქტო რესპუბლიკის სასამართლომ გაასამართლა, სასჯელიც მიუსაჯა და რამდენიმე დღეში არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბიბილოვმა შეიწყალა.

ჟენევაში საერთაშორისო დისკუსიების მორიგი რაუნდი 10-11 დეკემბერს ჩატარდა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები მოლაპარაკების დეტალებზე არ საუბრობენ, თუმცა ცნობილია, რომ დღის წესრიგში ცხინვალის და სოხუმის ციხეებში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უპირობო გათავისუფლების საკითხიც იდგა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის კონფლიქტების მოგვარების დეპარტამენტის უფროსი, ზვიად ზვიადაძე, პოზიტიურ ფაქტად მიიჩნევს იმ საკითხს, რომ მხარეების წარმომადგენლებმა პირისპირ განიხილეს მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული საკითხები.

„როგორც ცნობილია, მუშაობა მიმდინარეობს ორ ჯგუფში უსაფრთხოების და ჰუმანიტარულ საკითხებზე. ორივე სამუშაო ჯგუფში მთავარი განსახილველი თემები იყო დაკავებები და ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებზე“.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 51-ე რაუნდის მონაწილეებმა განიხილეს ჩორჩანა-წნელისში არსებული ვითარება, ბოლო დროს მომხდარი დაკავებები, დაკარგული ადამიანების საკითხი და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის საარსებო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა, — აღნიშნულია 10-11 დეკემბერს გამართული ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 51-ე რაუნდის შესახებ გავრცელებულ პრესკომუნიკეში, რომელიც ეუთოს ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

ინფორმაციის თანახმად, მონაწილეებმა ვერ შეძლეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხის განხილვა რამდენიმე მონაწილის მიერ შეხვედრის დატოვების გამო.

ზაზა გახელაძე სხვილოს ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა 11 ივლისს ფეხში დაჭრეს და დააკავეს. დაჭრილი ზაზა გახელაძე ჯერ საავადმყოფოში იყო, შემდეგ წინასწარი დაკავების იზოლატორში, ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ კი ცხინვალის ციხეში გადაიყვანეს. მას ბრალს ორი მუხლით უყენებენ: ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა და სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა. ზაზას ოჯახში ახლა ცხინვალში სასამართლო პროცესის გამართვას ელოდებიან. ისინი საქართველოს ხელისუფლებას მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებენ და დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.

გოგა აფციაური,
რადიო თავისუფლების
კორესპონდენტი შიდა ქართლში

სამართლიანი სიმდიდრე როდიდან გახდა უსამართლობა?!.

დავიცვათ ადამიანი!

90-იანი წლების დასასრულს ერთი ჩემი მეგობარი დამწუხრებული შემომეხმიანა. მიზეზი რომ ვკითხე, მიპასუხა: ხედავ, გაზეთში რა დაწერესო. თურმე გაზეთში გამოქვეყნებულ მდიდარი ადამიანების ოცკაციან ის სიაში იყო მოხსენიებული და, თანაც ერთ-ერთ ბოლო ადგილზე, უფრო სწორად, ოცმილიონიანი მდიდრების „მაჩანჩალებში“. მე გულწრფელად დავამშვიდე და შევუდექი კიდევაც საქმეს, რის შემდეგაც, ცოტა არ იყოს, გონზე მოვიდა და დაწყნარდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მშიშარა ბუნება მილიონერის სტატუსს ბოლომდე ვერ მოერგო და მას „მაჩანჩალებში“ უფრო ვხედავდი.

მე დღესაც მჯერა, რომ ჩვენი დროის მდიდარ ადამიანებს – მილიონერებს თუ მილიარდერებს – კი არ უნდა ეშინოდეთ თავიანთი დაგროვილი სიმდიდრის გამო, ისინიც და მათ გვერდით ყველა ჩვენგანიც უნდა ამაყობდეს მათი მიღწევებით, მათი სიმდიდრით და არ უნდა ჰქონდეთ შიში დაგროვილი ქონების გამო.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა რომ ზოგადსაკაცობრიო პრობლემაა, ეს სადავო არაა. ხშირად გამკვირვებია, როდესაც სოფელში თუ ქალაქში, დიდ სამეწარმეო კოლექტივებში (ფაბრიკებსა თუ ქარხნებში – ძველი გაგებით, თორემ ახლა სადაა ფაბრიკები და ქარხნები!), სხვადასხვა კომპანიებში და, საერთოდ (საზოგადოებრივ) სოციალურ გაერთიანებებში ადამიანები უპირისპირდებიან გამორჩეულებსა და დაწინაურებულებს, ჯიბრში უდგანან, ექიშპებიან, ხშირად უკადრებელს აკადრებენ. რატომღაც ადამიანები ვერ ეგუებიან თანამოძმეთა დაწინაურებას, გამდიდრებას, ასეთნაირებს, როგორც წესი, გარიყავენ, მოიშორებენ, მოიკვეთენ და მოკლავენ კიდევაც.

ეს სხვა არაფერია, თუ არა შურით ცხოვრება („შური არს მწუხარება სხვისა სიკეთესა ზედა“ – საბა) და იგი უპირველესად ქონებრივად დაწინაურებულ ადამიანებზეა მიმართული, ამ დროს აქსიომაა, რომ ყველა საზოგადოება შექმნილი დოვლათით იზომება, დოვლათის სიუხვით ფასდება, რომელსაც მშრომელი და აქტიური, ქუდბედიანი ადამიანები ქმნიან.

ამ სიმდიდრეს კი საბოლოოდ დაწინაურებული საქმის კაცი (ბიზნესმენი) ისევ საზოგადოებას ახმარს.

ამის შემდეგ, მოდით, ნუ დავუპირისპირდებით ადამიანს მისი სიმდიდრის გამო, თუ ის დანაშაულებრივი გზით არაა მოპოვებული თუ მოხვეჭილი. დღეს რომ გამდიდრდე, დიდი შრომით, დიდი რუდუნებით თუ შეიძლება, რაც ყველასთვის როდია მიღწევადი და, მოდით, ნუ ვიქნებით შურიანები.

კომუნისტურმა რეჟიმმა ადამიანების ბედი მიანდო ბრმა ფანატიზმით შეპყრობილ არაკაცებს, ვისთვისაც ღირსება ფუჭი ფასეულობა გახლდათ.

სამწუხაროდ, არაკაცები მეტნი აღმოჩნდნენ, მათ დაიმონეს ადამიანები. შიმშილით და გაუსაძლისი ცხოვრებით გაწამებულნი ბედნიერი მომავლის იმედით ამართლებდნენ ამ ჟლეტას.

წაიკითხეთ ოთარ ჩხეიძის „ბორიაყი“, თუ როგორ ჟლეტდნენ წარჩინებული გვარის წარმომადგენლებს თანამემამულე კანიბალები.

მაგალითია გიორგი ხარნაულის მკვლელობა ფშავში; ეს ნამდვილი ამბავი მოთხრობილია გიგი ხარნაულის ნაშრომში „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“, სადაც ვგებულობთ, რომ გიორგის გამდიდრებას, მის ცხვარმრავლობას ვერ ურიგდებოდნენ მიუხედავად იმისა, რომ გიორგი თანასოფლელებთან ხელგაშლილი იყო, შობა-ახალ წელს საჩუქრები მიჰქონდა, ეხმარებოდა სახლის მშენებლობაში ყველა გაჭირვებულს და ა.შ., მაგრამ საბოლოოდ შეთქმულებმა მოკლეს.

თუ სოფელში ვინმე ღირსეული იყო, მას „ულირსნი“ კლავდნენ.

მამაჩემის ბიძაშვილი ნიკო შონია მარტო იმიტომ მოკლეს ბოლშევიკმა მაუზერისტებმა, რომ ის ცნობილი ვაჭარი იყო, მდიდარი კაცი. ნიკო დახვრიტეს და ჩააგდეს სენაკის საკირეში მხოლოდ მისი სიმდიდრის გამო, არად ჩააგდეს მისი ქველმოქმედება, თანამოძმეებს რომ ეხმარებოდა ყველა გასაჭირში, საჭირბოროტო საკითხების გადაჭრაში.

კომუნისტურმა რეჟიმმა ადამიანების ბედი მიანდო ბრმა ფანატიზმის არაკაცებს, გაუწონასწორებელი ფსიქიკის მქონეებს, ვინც დარწმუნებული იყო, რომ მდიდრები უნდა მოსპო, გაანადგურო, დახვრიტო, რომ ქვეყანა გადაარჩინო, რომ ქვეყანას უშველო.

როდესაც დღეს მეტ-ნაკლებად ცნობილია რეჟიმისგან მოსპობილი ადამიანების სია, არ დაადგა საშველი ტერორისტების გამომზეურებას, რომ გამოქვეყნდეს იმათი სია, ვინც ცივი გონებით, აუღელვებლად, კმაყოფილებით, დაუნდობლად ჟლეტდა ადამიანებს, გამორჩეულებს, მდიდრებს, მარტო იმიტომ, რომ ისინი სხვაგვარად აღიქვამდნენ საზოგადოებას, ცხოვრებას.

ცნობილნი უნდა იქნენ არა მარტო ისინი, ვინც დახვრეტის ბრძანებას იძლეოდნენ, არამედ ისინიც, ვინც ამ ბრძანებებს ასრულებდნენ, ვინც ცივი გონებით დამიზნებული შაშხანიდან გასროლით კლავდა ადამიანს, ე.ი. სადისტები, ბრძანების შემსრულებლები.

სხვანაირად შველა არ არსებობს. როგორც ზუგდიდელი ინტელექტუალი, ცნობილი მწერალი ზურაბ ცხონდია იტყოდა: „ძმათა სისხლის ჩამობანვა მხოლოდ საყოველთაო სინანულითა და ეროვნული თანხმობისკენ სვლით გვმართებს“.

მაგრამ არ მინდა, თემას გადავუხვიო. სიმდიდრის მოხვეჭა ყველას არ შეუძლია. რა ვქნათ, დავუშალოთ იმ გამორჩეულ ადამიანებს სიმდიდრის, ქონების მოხვეჭა? ქონების დაგროვება, მოგების მიღება თუ დანაშაულია, მაშინ რით ვუშველოთ ამდენ სიდუხჭირეს, გაუსაძლისობას...

ამას წინათ დააკავეს ბანკზე თავდასხმასა და მძევლების აყვანაში მხილებული პირი. ენა არ მიბრუნდება, რომ ის, როგორც დამნაშავე, მოვიხსენიო იმის შემდეგ, რაც გავეცანი მის მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები კი შემდეგი იყო:

– საქართველოში აზარტული თამაშების აკრძალვა;

– ბანკებისგან დაკაბალეგული ადამიანების დახმარება, სესხების გადახედვა, პროცენტული დანამატების მოწესრიგება, მოკლედ, ბანკების თავგასულობის შეკვეცა;

– სამედიცინო მედიკამენტებზე ფასების შემცირება.

ამ კაცის ყველა მოთხოვნა შეჭირვებულ ადამიანთა შველას ემსახურებოდა.

გეკითხებით, აქედან რომელი მოთხოვნა არაა საზოგადოებისგან მოთხოვნადი? მაგრამ როდის გამოჩნდება ამ მოთხოვნათა შესრულების სამართლიანი გზები, როდის შევძლებთ, ეს საკითხი კრიმინალმა კი არა, მთავრობამ გადაგვიწყვიტოს.

კიდევ რამდენი ასეთი ტვირთი აქვთ ადამიანებს, რომ ისინი ამ ტვირთებისგან წელში არ გაწყდნენ.

დაბოლოს, ვუბრუნდები მდიდარი ადამიანების მდგომარეობას; ზოგიერთებმა რომ მდიდარი ადამიანი გააიგივეს მოძალადესთან, მჩაგვრელთან, აი, ამიტომაც იყვნენ მათ მიმართ შეუბრალებლები და ამ შეუბრალებლობას საზღვარი არ ჰქონდა. საზოგადოებაში სხვა ძალა ვერ მოიძებნა, გარდა გამდიდრებისკენ სწრაფვით მისი განვითარებისა.

უბრალოდ, ეს მდიდრები უნდა ჩავაყენოთ გარკვეულ ჩარჩოებში, კალაპოტში, რომ საბოლოოდ მათი შემოქმედების საგანი ემსახურებოდეს საზოგადოებას.

მოკლედ, მდიდრები გვჭირდებიან თანაც ეს სიმდიდრე უნდა იყოს შექმნილი სწორი გზით (არაკრიმინალურით).

მაგრამ გამდიდრებულნი არ უნდა ჩავაყენოთ საზოგადოების განვითარებისთვის წარმოებულ პოლიტიკაში. ისინი უნდა დარჩნენ პოლიტიკის მიღმა (ეს იდილია როდია), მათ ქონება უნდა მოიპოვონ და მოახმარონ სიკეთეს და ამ გზაზე მათ ხელი არ უნდა შეეშალოთ, ისე, რომ ქვეყნად სიხარბე არ გამეფდეს.

ჩვენ რამდენი ხანია, გვყავს ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ მიუხედავად მისი მნიშვნელოვანი შესაძლებლობებისა (მართალი თუ გადამეტებული) მან (უფრო კი მის დროს) ვერ შექმნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, როგორც ეს არის შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, დანიაში და ა.შ. ნუ გეღიმებათ, სწორედ ასეთი ამბიცია უნდა გვმართავდეს ჩვენ, რადგანაც არც ბუნებით და, მით უმეტეს, ხალხით საქართველო შვეიცარიას, და მით უფრო დანარჩენებს, არ ჩამოუვარდება.

რჩევა ბიძინა ივანიშვილს: იქნებ საბოლოოდ შეელიოთ პოლიტიკას! გადადი ბიზნესზე, საქართველოს წელში გასამართ ბიზნესზე, თუ შეგიძლია და თუ გიყვარს საქართველო, შენი სამშობლო. არც მე ვარ ჭყონდიდელი და არც შენ – დავით მეფე, მაგრამ ძალიან მინდა, არ დაივიწყო დავით აღმაშენებლისთვის გიორგი ჭყონდიდელის მიერ ნათქვამი: „თუ გინდა ძლიერი საქართველო, ღირსება დაუბრუნე ხალხს“. ამავდროულად, რაც შეეხება საქმის მეორე მხარეს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ივანიშვილის, ამ ზემდიდრის, უსაფრთხოება, მისი ბიზნესის დაცვა და ამაში არ უნდა იყოს არავითარი გაურკვევლობა.

პოლიტიკიდან რეალურად წასვლა ბიზნესში, რაც გარანტირებული იქნება სახელმწიფოს მიერ – ამაში ვხედავ მე დღეს ჩიხიდან გამოსავალს.

დაბოლოს, ისევ ვუბრუნდები ბანკზე მოწყობილი თავდასხმის მომწყობის მოთხოვნებს.

მე, ყოფილი რესპუბლიკის სამძებრო სამმართველოს ხელმძღვანელი, რომელმაც მთელი ჩემი სიცოცხლე დანაშაულთან ბრძოლას მოვახმარე, დღეს ვდგავარ ბანკზე თავდამსხმელის გვერდით და მოვითხოვ მის მხარდაჭერას. იმდენად გულთან მისატანია მძევალთა განთავისუფლებისას მის მიერ წამოყენებული მოთხოვნები (და არა დანაშაულებრივი გზა)... ყოველ მოსაზრებას შეიძლება საწინააღმდეგო დავუპირისპიროთ და ამას ბოლო არ ექნება; ამ შემთხვევაში კი დამნაშავისა და ჩემი ცხოვრების პრინციპები ერთმანეთს ემთხვევა. ჩემი ცხოვრების მიზანი ადამიანის ადამიანისგან დაცვა იყო და ამ პრინციპების ერთგული ვრჩები დღესაც.



გრიგოლ შონია,
ტ. 599974644

ბიზესი – ქვეყნის ძალ-ღონე!..

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები და ბიზნესომბუდსმენის მოვალეობის შემსრულებელი ნინო კვეტენაძე სტუმარ-მასპინძლობის სფეროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამები განიხილეს და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაცია მოისმინეს სფეროში დღეს არსებული ვითარების შესახებ.

მოწვეულმა სტუმრებმა, გამოთქვეს სურვილი, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს შემოსავლების სამსახურთან, რათა ერთობლივი მუშაობის შედეგად მოხდეს ბიზნესისთვის ისეთი აქტუალური საკითხების იდენტიფიცირება როგორიცაა: სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით საგადასახადო შეღავათის დაწესება, ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნესსუბიექტებისთვის ქონებისა და საშემოსავლო გადასახადის გადავადება, მოქალაქეთათვის მიზნობრივი სოციალური დახმარება და სხვა. კერძო სექტორის წარმომადგენლებს, შესაძლებლობა მიეცათ, მათთვის აქტუალურ თემებზე და არსებულ გამოწვევებზე ესაუბრათ. ბიზნესსექტორთან შეხვედრები რეგულარული ხასიათის იქნება და აქტიური კავშირი მომავალშიც გაგრძელდება.

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, „ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲓᲐᲜ“ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲝᲜ

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲛ“ ᲞᲠᲝᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲝᲡ ᲓᲐ ᲔᲚᲩᲔᲑᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲛᲐᲗᲘ ᲠᲔ�პᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ ᲨᲔᲘᲚᲐᲮᲝᲡ, — მით უმეტეს **გრიგოლ ვაშაძის** პარტიიდან სკანდალური წასვლის შემდეგ. ამერიკის ელჩმა **ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲛᲐ** ვაშაძეზე საყურადღებო განცხადება გააკეთა. ის ამბობს, რომ ვაშაძე გამოცდილი პოლიტიკოსია და მისით ქვეყანამ უნდა იამაყოს. ამ კომენტარიდან ჩანს, რომ, დიდი ალბათობით, დასავლეთისთვის ვაშაძის პარტიიდან წასვლა საკმაოდ არასასურველი ფაქტია. დასავლეთს ამით კიდევ უფრო უმყარდება ეჭვი, რომ პარტიის მხრიდან რადიკალური ნაბიჯები გაძლიერდება. ამასთანავე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, ნაციონალები ელჩების კრიტიკის და ანტიდასავლური განცხადებების გამო „ევროპის სახალხო პარტიიდანაც“ გარიცხონ. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ გრიგოლ ვაშაძის ადგილი კი **ნიკა გვარამიამ** დაიკავოს, რაც დასავლეთისთვის კიდევ ერთი უკმაყოფილების საბაბი გახდება. გვრამიას ბოლოდროინდელი კრიტიკა ამერიკის და ევროკავშირის მიმართ, მეტად არასასიამოვნო კონტექსტში მოხდა.

გრიგოლ ვაშაძის მხრიდან პარტიის დატოვების ერთ-ერთი მიზეზი ელჩების კრიტიკა აღმოჩნდა.

„ფაქტი ის არის, რომ ამერიკაზე უკეთესი მეგობარი საქართველოს არ ჰყავს“, — ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა.

როგორც დეგნანმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესშია, რომ საქართველოს დაეხმაროს. მისივე თქმით, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იპოვონ ძალა იმისთვის, რომ შეთანხმება შედგეს.

ანალიტიკოსი **რამაზ სამვარელიძე** ამბობს, რომ ის განცხადებები, რაც ელჩების მიმართ ნაციონალების და მათი მხადამჭერების მხრიდან კეთდება, შესაძლოა დასავლეთისთვის საგანგაშო ნიშანი იყოს, რომ ისინი რეალურად პროდასავლური ძალა არ არიან და რუსეთის დაკვეთას ასრულებენ. საყვარელიძე ამბობს, რომ განსაკუთრებით გრიგოლ ვაშაძის პარტიიდან წასვლის და ამერიკის ელჩის, კელი დეგნანის მიმართ გაკეთებული შეფასების შემდეგ გამოჩნდა, რომ ამერიკისთვის „ნაციონალურ მოძრაობაში“ რაც ხდება, მიუღებელია და ამ დაპირისპირებაში მათი მხადაჭერა ვაშაძეს ჰქონდა. ამიტომ, თუკი გავრცელებული ხმები ნიკა გვარამიას თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ გამართლდა, ნაციონალების მიმართ დასავლეთი კიდევ უფრო სკეპტიკურად განეწყობა და ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ პარტია კიდევ უფრო რადიკალიზმის გზას დაადგა. ამიტომაც ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ საერთოდ „ნაციონალური მოძრაობა“ „ევროპის სახალხო პარტიიდან“ გარიცხონ.

„ნაციონალების მიერ გაკეთებული განცხადებები პირველ რიგში ქვეყანას აზიანებს და ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე გავდივართ. რა თქმა უნდა, დასავლეთმა ოპოზიციის ზოგიერთი წევრის უპასუხისმგებლო განცხადებების შემდეგ, პარტიას ეჭვის თვალით ყურება დაუწყო. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ ნაციონალებმა, როგორც პროდასავლურმა ძალამ, ავტორიტეტი დაკარგოს, მის მიმართ ნდობა გაუქრეთ და საერთოდ კითხვა გაუჩნდეთ რუსეთის დაკვეთას ხომ არ ასრულებენ.

ელჩები ძალიან კარგად ხედავენ და სხვადასხვა წყაროებიდან იღებენ ინფორმაციას, რომ ნაციონალების რეალური ჩანაფიქრი რევოლუცია და ქვეყნის გადატრიალებაა. მიხეილ სააკაშვილი პირდაპირი განცხადებებით გამოდის, ამიტომაც ისინი ამას მხარს არ დაუჭერენ. ყველა ელჩი დირექტივას საკუთარი ქვეყნის მეთაურებისგან იღებს, ამ ყველაფერს კი გრიგოლ ვაშაძის პარტიიდან წასვლაც ემთხვევა. ნახეთ, ალბათ, კელი დეგნანმა ის როგორ დაახასიათა და თქვა, რომ საკმაოდ წარმატებული პოლიტიკოსია. ეს კიდევ ერთხელ იმის მანიშნებელია, რომ ამ დაპირისპირებაში ამერიკა ვაშაძის მხარეს იყო. პლუს ამას, თუკი ნიკა გვარამიას ირგვლივ გავრცელებული ხმები გამართლდა და მან ვაშაძის ადგილი დაიკავა, არ არის გამორიცხული, რომ პარტია საერთოდ „ევროპის სახალხო პარტიიდანაც“ კი გარიცხონ“, — ამბობს საყვარელიძე.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ ნაციონალების ზოგიერთი წევრის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა დასავლეთში დიდი გაუგებრობა და გაურკვევლობა გამოიწვია. ძაბირაძე ამბობს, რომ სრულიად გაუგებარი და პოლიტიკური სიბეცეა, როდესაც ელჩებს თავს ესხმი და ამით რის მოგებას აპირებ, გათვლილიც არ გაქვს. ანალიტიკოსი ვარაუდობს, რომ ჯერჯეროობით დასავლეთი მათთან თანამშრომლობას გააგრძელებს, მაგრამ ის მოსაზრება, რომ საქართველოში ისინი ყველაზე პროდასავლური ძალები არიან, ცოტა შეირყა. მისი აზრით, ვარიანტი არ არსებობს რომელიმე ელჩმა ოპოზიციას მხარი იმაში დაუჭიროს, რომ ქვეყანაში სიტუაცია დაიძაბოს და პროცესები რადიკალური მიმართულებით განვითარდეს.

ამიტომაც ნებისმიერი მათი ქმედება და განცხადება მხოლოდ იმისკენ იქნება მიმართული, რომ პოლიტიკური კრიზისი განიმუხტოს. ძაბირაძე ფიქრობს, რომ, ალბათ, დიდი გავლენა იმასაც ექნება, ვინ დაიკავებს გრიგოლ ვაშაძის ადგილს, რადგან ის დიპლომატი იყო და ელჩებთან კომუნიკაცია კარგად გამოსდიოდა. თუკი მის ადგილს ნიკა გვარამია დაიკავებს, ეს უკვე მძიმე განაცხადი იქნება და დასავლეთს კიდევ მეტი კითხვის ნიშნები გაუჩნდება.



ნაციონალების, როგორც პოლიტიკური ძალის გადასარჩენად დასავლეთმა ბევრი იბრძოლა და გააკეთა. ამიტომაც ისინი საქართველოში მათ დასაყრდენ ძალად ითვლება. ხოლო თუ ისინი ამ რიტორიკას გააგრძელებენ, არაფერია გამორიცხული და შესაძლოა **„ევროპის სახალხო პარტიიდანაც“ კი გარიცხონ. გვარამიას კი, თუ ამ თანამდებობაზე დანიშნავენ და ვაშაძეს ჩაანაცვლებს, რა თქმა უნდა, ელჩებთან ურთიერთობა პარტიას კიდევ უფრო დაეძაბება“,** — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

მოამზადა
ᲚᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

◎ „ᲗᲐᲕᲝ ᲩᲔᲛᲝ...“

ᲘᲒᲘ ᲬᲐᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲕᲐ!..

ᲣᲙᲕᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲘᲠᲐᲐ, ᲡᲐᲜᲐᲪᲔᲗᲘ ᲙᲐᲙᲐᲤᲝᲜᲘᲐᲛ ᲛᲝᲘᲪᲕᲐ — �გᲠᲘ�გᲝᲚ ᲕᲐᲨᲐᲫᲔᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲝᲠᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲗ.

„ᲞᲐᲓᲣᲛᲐᲔᲑ“? — ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲠᲐᲓᲝᲜᲐᲛ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ, ᲖᲝᲒ-ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲔᲑᲘ „ᲭᲔ“ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲚᲐᲑᲝᲠᲐᲜᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲡ ᲛᲘᲡᲢᲘᲠᲘᲐᲜ...

ᲘᲡᲔ, ᲗᲐᲕᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲠᲕᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲚᲘ ᲞᲔᲠᲛᲐᲜᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘᲡᲢᲣᲚ-ᲓᲔᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲕᲠᲘᲚᲤᲔᲮᲝᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲣᲛᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ „ᲪᲣᲛᲑᲣᲨᲔᲑᲡ“ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲝᲡᲓᲘᲝᲛᲓᲔᲗ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲦᲠᲣᲔᲑᲘᲓᲐᲜ „ᲗᲐᲕᲝ ᲩᲔᲛᲝᲡ“ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲔᲪ ᲕᲘᲜᲐᲢᲠᲔ, ᲠᲐ!

ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲓᲐ — ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ, ᲠᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲑᲐᲠᲒᲔᲑᲣᲚ „ᲙᲐᲒᲔᲑᲔᲨᲜᲘᲙᲡ“ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲣᲚ „ᲐᲒᲘᲢᲞᲠᲝᲛᲐᲓ“ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲣᲚ ᲛᲔᲪᲝᲪᲮᲔᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘᲝ — ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲓᲐ, ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲙᲚᲓᲐ თუ პრიმა — ᲑᲐᲚᲔᲠᲘᲜᲐ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡᲗᲐᲜ — ᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝ ᲨᲕᲘᲚ ᲜᲘᲜᲝ ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲔᲚᲘᲢᲣᲠᲘ ᲑᲝᲛᲝᲜᲓᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲓᲐ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲑᲐᲡ? — ᲐᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲜᲝᲛᲔᲜᲙᲚᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲩᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ — ᲡᲘᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲣᲠ ᲬᲚᲔᲑᲖᲔ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ, ᲮᲝᲛ ᲘᲪᲘᲗ, ᲙᲐᲪᲡ ᲔᲨᲛᲐᲙᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲘᲩᲜᲓᲔᲑᲐ, ᲫᲜᲔᲚᲘᲐ, ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ�გᲐᲜ ᲒᲐᲐᲠᲩᲘᲝᲡ.

ᲗᲣ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲗ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲒᲠᲘᲗᲝᲚᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ, ᲠᲝᲪᲐ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲔᲗᲛᲝᲑᲝᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲮᲝᲛ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐ, ᲛᲘᲗ უმეტეს, ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲡ — ᲛᲐᲝᲮᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲖᲘᲠ ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲡ �თუ ᲛᲘᲑᲐᲫᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲫᲣᲠᲬᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲙᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲔᲗᲛᲝᲑᲝᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲮᲝᲛ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐ, ᲛᲘᲗ უმეტეს, ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲡ — ᲛᲐᲝᲮᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲖᲘᲠ ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲡ თუ ᲛᲘᲑᲐᲫᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲫᲣᲠᲬᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲙᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲔᲗᲛᲝᲑᲝᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲮᲝᲛ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐ, ᲛᲘᲗ უმეტეს, ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲡ — ᲛᲐᲝᲮᲠᲔᲑᲔᲚ ᲒᲖᲘᲠ ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲡ თუ ᲛᲘᲑᲐᲫᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲓᲐᲜ ᲒᲐᲫᲣᲠᲬᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲙᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲔᲗᲛᲝᲑᲝᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲮᲝᲛ ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐ, ᲛᲘᲗ უმეტეს, ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲛᲐᲗ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲘᲖᲛᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ?!

„ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲐ – ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲚᲡ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲫᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲗᲣ ᲩᲐᲕᲣᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲘᲗ, ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲐᲡ ᲐᲦᲛᲝᲕᲐᲩᲔᲜᲗ ᲫᲕᲔᲚᲒᲐᲜ - ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ, ᲓᲐᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲫᲐᲚᲐᲫᲨᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲫᲐᲚᲐᲫᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲤᲚᲝ.

ᲛᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲡᲣᲠᲐᲗᲡ ᲫᲛᲜᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜᲘ ᲣᲙᲣᲚᲢᲣᲠᲝᲑᲐ, ᲗᲐᲕᲒᲐᲡᲣᲚᲝᲑᲐ, ᲣᲢᲘᲤᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲣᲛᲔᲪᲠᲔᲑᲐ. ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲐᲡ ᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲜᲝᲑᲐ, ᲫᲔᲓᲛᲐᲚᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲐᲚᲝᲛᲐᲜᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲛᲝᲜᲣᲠᲘ ᲫᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲮᲠᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲛᲝᲗᲠᲔᲝᲑᲐ, ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲘᲐ, ᲠᲘᲡ ᲐᲜ ᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲐ ᲛᲐᲠᲒᲘᲜᲐᲚᲘᲐ. ᲘᲡ ᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲣᲓᲘᲓᲐᲜ, ᲘᲡ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲜᲘᲐᲓᲐᲒ ᲓᲐᲓᲐᲠᲐᲯᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲘᲡ ᲒᲔᲨᲘᲗ ᲪᲜᲝᲑᲡ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲫᲣᲚᲡ ᲘᲒᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ.

ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲢᲝᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲢᲔᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘ“, – ᲐᲛᲑᲝᲑᲡ **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ.**

ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔ „ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲢᲝᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲢᲔᲕᲐ“!..

ᲣᲐᲚᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ Ქ-ᲜᲘ ᲙᲔᲚᲘ ᲓᲔᲒᲜᲐᲜᲘ, ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲙᲐᲠᲚ ᲰᲐᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ ᲛᲔ-10 ᲛᲝᲜᲬᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲔᲡᲘᲐᲡ ᲔᲡᲬᲠᲔᲑᲘᲐᲜ, ᲐᲛᲘᲗ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲡ, ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲚᲔ�გᲘᲢᲘᲛᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲣᲞᲐᲠᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲣᲓᲒᲐᲜᲐᲤ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ. ᲝᲠᲓᲜᲐᲕ ᲔᲭᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲰᲞᲐᲠᲕᲝᲓᲐᲗ ᲐᲛ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲔᲑᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲚᲔ�გᲘᲢᲘᲛᲣᲠᲝᲑᲐᲨᲘ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲕᲔᲠ ᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲦᲝᲜᲘᲡᲘᲫᲘᲔᲑᲐᲖᲔ!..

მეორე მხრივ, შეუძლებელია არ ითქვას, რომ ჩვენისთანა ქვეყნისთვის კატასტროფაა, უბედურებაა (disaster) როცა იქვე, მეორე ეზოში, შეკრებილნი არიან უკვე არჩეული ოპოზიციონერი პარლამენტარები, პარტიის ლიდერები, მათი აქტივისტები, რომლებიც აბსოლუტურად უმიზეზოდ აპროტესტებენ, არ ეთანხმებიან არჩევნების შედეგებს (არადა, ცხრა ოპოზიციური პარტია შევიდა პარლამენტში) და ბოიკოტს უცხადებენ პარლამენტს, ხმამაღლა აყენებენ შეურაცხყოფას თავიანთ კოლეგებს, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ლანძღავენ ელჩებს, უცხოელ სტუმრებს, მარტო იმიტომ რომ არ გაიზიარეს მათი ბელადის ავანტიურისტული ტყუილი, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა!!! აგრეთვე არსებობს აზრი, რომ ოპოზიციას მარტო არჩევნების შედეგები კი არ აწუხებს და ამიტომ არ შედიან პარლამენტში, არამედ შორსმიმავალი რევანშისტული აზრები აქვთ! ამას ჯერ ვერ ამბობენ, „რცხვენიათ“, რის გამოც ამჟამად მიმდინარე სახელისუფლო პარტიას და ოპოზიციას შორის რაიმე მოლაპარაკებაზე ან კონსესუსზე ლაპარაკი თითქმის ზედმეტია!

სამწუხაროა, რომ ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამდენად შორს დგას ქვეყნის პოლიტიკური კულტურა ევროპული კულტურისგან, როცა მთელმა ოპოზიციამ წარბშეუხრელად, თავის ბელადის ერთი ხელის აქნევით, კოლექტიურად იცრუა და საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ ერთხმად აღიარებული კონკურენტული და თავისუფალი არჩევნები ქვეყანაში გაყალბებულად გამოაცხადა!.. რა თქმა უნდა, ამის საპასუხოდ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, უარყოფითი რეაქცია დაიმსახურა. უფრო მეტიც, გაერთიანებული ოპოზიის ლიდერი მ. სააკაშვილი ევროკავშირის ელჩს, ჩვენი ქვეყნის დიდ მეგობარს, ბ-ნ კარლ ჰარცელს მოურიდებლად, უხეშად თავს ესხმის, უამრავ სისაძაგლეს აბრალებს მარტო იმიტომ, რომ მან არ გაიზიარა მისი პათოლოგიური ტყუილი და, ბუნებრივია, ეუთო-ოდირის მონაცემებს ენდო, რომ საქართველოში არჩევნები არ გაყალბებულა, კონკურენტული და თავისუფალი იყო.

ამავე დროს, ერთპროცენტიანმა შალვა ნათელაშვილმა, როცა შეიტყო, რომ ყველაზე ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „სამართლიანმა არჩევნებმა...“ (ISFED) ხმების პარალელური დათვლის საბოლოო, გადამოწმებული შედეგები დადო, რომლის მიხედვითაც ცსკოს და ISDFE-ს მონაცემები ერთმანეთს დაემთხვა და გაქარწყლდა არჩევნების გაყალბების ვერსია, შალვა ნათელაშვილმა და ოპოზიციამ ეს მსოფლიო ბრენდი არასამთავრობო ორგანიზაცია ქრთამის აღებაში დაადანაშაულეს!!!

სხვა რომ არაფერი, პოლიტიკური სიბეცე ამაზე შორს ვერ წავა! ქვეყნის სირცხვილია, როცა ცნობილი ქართველი ქალბატონი, პოლიტიკოსი, ოპოზიციონერი, ამერიკის ელჩ ქალს თვალებში უყურებს და არ რცხვენია, არ წითლდება, რომ ცოცხალ ტყუილებს ეუბნება!

ასეთი ტყუილებით გაჯერებული ქართული პოლიტიკა ყველასთვის მიუღებელია.

განსაკუთრებით სენსიტიურია მსგავსი სიცრუის მიმართ ევროპული კულტურა. ოპოზიციისადმი ნეგატიური განწყობა დასავლეთის დიპლომატებში, როგორც ჩანს, ძირითადად გამოიწვია არა ოპოზიციის პოლიტიკურმა პლატფორმამ და ბოიკოტმა, არამედ იმ აღვირახსნილმა, გაუთავებელმა სიცრუემ და ვირეშმაკობამ, რაც მათ საკუთარი თვალებით ნახეს და მოისმინეს!

(ისე არ ვქნათ, რომ მომავალში „ყვავილების ქვეყნის“ ნაცვლად, „ტყუილების ქვეყანას“ გვიმღერონ!)

ყოველივე ამის შემდეგ, მართლა უნდა გაგვიკვირდეს, რომ დასავლეთის შუამავალმა ელჩებმა ისევ განაგრძონ თავიანთი ძალისხმევა მოლაპარაკების პროცესში, ხოლო ამერიკის ელჩმა თავის რეზიდენციაში ისევ მიიღოს დაპირისპირებული მხარეები და სააკაშვილის და გვარამიას მიერ ტირაჟირებულ ტყუილებს უსმინოს, – „როგორ გააყალბა თურმე „ოცნებამ“ არჩევნები და თვითონ, როგორი პატიოსანი მამა აბრამის პატკნები არიან“.

ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲔᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐ ᲐᲠ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲔᲠᲗᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲘᲡᲬᲠᲐᲤᲕᲘᲡ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲔᲑᲗᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ ᲣᲐᲠᲘ, ᲮᲔᲚᲘ ᲰᲙᲠᲔᲡ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐ ᲛᲘᲐᲧᲔᲜᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲗ ᲐᲛ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕ, ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲣᲠ ᲫᲕᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲡ... ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲜᲔᲜ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲐᲠᲗ!

ᲠᲐ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔ ᲒᲝᲠᲡᲐᲚᲐ, ᲑᲘᲜᲫᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲫᲛᲜᲔᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲕᲫᲚᲐᲕᲡ!

ᲑᲝᲜᲓᲝ ᲯᲝᲒᲣᲚᲘᲐ,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲤᲔᲜᲘᲓᲐᲜ - ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔᲨᲘ, ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲓᲐᲜ - ᲡᲘᲦᲐᲭᲐᲙᲔᲨᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔ ᲣᲪᲮᲝ ᲐᲠᲐᲡᲐᲓᲠᲝᲡ ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲛ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲐᲐᲛᲫᲘᲛᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲔᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐᲗ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕᲐᲪ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘᲐ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲠᲔᲟᲘᲛᲖᲔ. ᲐᲡᲔᲗ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲩᲔᲜᲐ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲣᲭᲘᲠᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛ�პᲔᲜᲡᲐᲪᲘᲔᲑᲘᲪ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲑᲝᲚᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲤᲔᲜᲘᲓᲐᲜ ᲦᲐᲠᲘᲑᲗᲐ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲦᲐᲠᲘᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔᲪ ᲓᲐ ᲗᲐᲗ ᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲙᲣᲗᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲔᲘᲣᲠᲐᲓ 1.90 ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲮᲛᲐᲠᲔᲜ, ᲠᲐᲪ ᲤᲐᲡᲗᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲘᲗ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 60 ᲪᲔᲜᲢᲘᲐ, ᲐᲜᲣ 2 ᲚᲐᲠᲘ, ᲗᲕᲔᲨᲘ – 60 ᲚᲐᲠᲘ. ᲐᲡᲔᲗ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔᲨᲘ, ᲐᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, 2019 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ 3.6%, ᲐᲜᲣ 133 000 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗ, ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲕᲘᲓᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲘᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ 1.90 ᲓᲝᲚᲐᲠᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲮᲛᲐᲠᲔᲜ, 150 ᲛᲚᲜ-ᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲔᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲪ.

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ **ᲛᲔᲠᲐᲑ ᲯᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲛᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲫᲘᲛᲔᲓ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲓᲐ.

„ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲛ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲔᲢᲐᲓ �გᲐᲐᲣᲐᲠᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ �გᲐᲐᲚᲐᲠᲘᲑᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ �გᲐᲣᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲐᲥ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐᲑᲐᲚᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ. ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲞᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲛ ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ 98%-ᲖᲔ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ �გᲐᲕᲚᲔᲜᲐ. ᲮᲐᲚᲮᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲨᲔᲣᲛᲪᲘᲠᲓᲐ. ᲐᲠᲘᲡ 1-2 �გᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲛ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ �გᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲤᲝᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔᲐ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᯯᲯᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

„ᲡᲐᲥᲡᲢᲐᲢᲘᲡ“ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲝᲚᲝ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲚᲙᲣᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲮᲣᲗᲡᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ 377.7 ᲚᲐᲠᲘᲐ. ᲔᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲗᲕᲔᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ 3 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲛᲔᲢᲘᲐ. ᲡᲐᲑᲐᲖᲝ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ, ᲠᲐᲪ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲡ ᲐᲡᲐᲮᲐᲕᲡ – 1.8 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ �გᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲡ 189.5 ᲚᲐᲠᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲬᲚᲘᲣᲠ ᲭᲠᲘᲚᲨᲘ ᲔᲡ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ 6 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ „ᲡᲐᲥᲡᲢᲐᲢᲘᲡ“ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲡ ᲐᲠ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ, �თᲣ ᲠᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲭᲠᲘᲚᲨᲘ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ. ᲡᲐᲥᲡᲢᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ:

ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ – 189.5 ᲚᲐᲠᲘ;

ᲝᲠᲡᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ – 268.6 ᲚᲐᲠᲘ;

ᲡᲐᲛᲡᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ – 302.2 ᲚᲐᲠᲘ;

ᲝᲗᲮᲡᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ – 335.7 ᲚᲐᲠᲘ;

ᲮᲣᲗᲡᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲘ – 377.7 ᲚᲐᲠᲘ;

**ᲔᲥᲕᲡᲡᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ

№ 184-185. ორშაბათი-სამშაბათი, 21-22 დეკემბერი, 2020 წელი.



ქართული პოლიტიკის მაგისტრალური მიმართულება

1669 წელს, იმერეთის მეფე **ბაგრატმა** მოსკოვში ელჩებად მიტროპოლიტები, **გედეონი** (ან **ევდემოზი**) და **დიმიტრი** გაგზავნა. იგი ხელმწიფეს წერდა მისი დედინაცვლის სიცოფეთა და სამეფო ხაზინის გაძარცვის შესახებ, რომელიც ახლა სულთნის მფარველობით ქუთაისსა და ლიხთიმერეთში მბრძანებლობდა. თვით ბაგრატი კი გამოხატავდა სურვილს რუსეთის ხელმწიფისადმი სამსახურისა და თხოვდა მას, რომ, აწ განსვენებული მამის, მეფე **ალექსანდრესთვის** მინიჭებული უფლების მსგავსად, ბეჭედი რუსეთის გერბით მისთვისაც დაემზადებინათ.

ბაგრატისგან განსხვავებულ პოზიციაზე იდგა ბატონიშვილი **ნიკოლოზი**, რომელიც თავისი დეიდის გამართლებას ცდილობდა და ბაგრატის წინააღმდეგ ჩადენილ ყველა ბოროტებას, მათ შორის დაბრმავებას, ფეოდალებს აბრალებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხელმწიფის დავალებით ჭეშმარიტება გამოიძიეს და მეფე **ალექსანდრეს** ქვრივის ბრალეულობა ძალაში დატოვეს. მთავარი მიზეზი ამისა გამოდგა მიტრ. **გედეონის** ჩვენება, რომელზეც იმდენად განრისხდა ბატონიშვილი, რომ გედეონი წმ. კირილეს მონასტერში თითქმის სამი წლით გამოაკეტვინა. იგი დედოფალ **ელენეს** თხოვნით გაათავისუფლეს 1675 წლის სექტემბერში და სამშობლოში გაამგზავრეს.

თეოდორე ალექსის-ძე

ბაგრატ III (იმერეთის მეფე)

1676 წელს აღესრულა მეფე **ალექსი მიხეილის ძე**, ტახტზე მისი მემკვიდრე **თეოდორე ალექსის ძე** ავიდა.

1680 წელს, მოსკოვში ჩავიდა მეფე **არჩილის**, შაჰ-ნავაზის (ვახტანგ V) ძის მიერ წარგზავნილი არქიმ. **მაკარი** იმ მიზნით, რომ რუსეთის მეფის წინაშე დახმარების მისაღებად ეშუამდგომლა და არჩილის მოსკოვში ჩასასვლელად უფლება მოეპოვებინა, რათა მას რუსეთისთვის ქვეშევრდომობა ეთხოვა და ამით თავიდან აეცილებინა შაჰის მრისხანება, რომელიც მთელ მის ოჯახს გამაჰმადიანებით ემუქრებოდა. არქიმანდრიტისთვის გამოტანებული წერილით ხელმწიფე ქართველ მეფეს ჰპირდებოდა, რომ ქრისტიანული რწმენის დაცვისთვის მისი ძლიერი ხელის ქვეშ მფარველობას მიიღებდა.

1681 წლის სექტემბრის თვეში, ისპაჰანიდან დედოფალ **ელენესა** და ბატონიშვილ **ნიკოლოზისგან** წარგზავნილმა მაცნემ **მათე ივანოვმა** მოსკოვში ჩაიტანა ცნობა, რომ დედა და შვილი **თეოდორე ალექსის ძის** მაღალ მფარველობას სასოებენ, რათა შაჰმა ურჯულოთა ქვეყნიდან საქართველოში მათი დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღოს. სხვათა შორის, მაცნემ ისიც თქვა, რომ **ნიკოლოზს** მაჰმადიანობის მიღება აიძულეს; თუმცა მას სინამდვილეში ქრისტიანობა არ დაუგდია და ღამღამობით საიდუმლოდ ლოცულობსო. სამწუხაროდ, როგორც განგებამ ინება, რუსეთში მაცნეს ჩასვლის დროს ხელმწიფე **თეოდორე** უკვე მარადისობის მკვიდრი გამხდარიყო (27.04.1681), ხოლო ახალაღსაყდრებული მეფენი **იოანე** და **პეტრე ალექსის ძენი**, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯების გადასადგმელად ჯერჯერობით მზად არ აღმოჩნდნენ.

1682 წლის 1 თებერვალს, იმერეთის მეფე **არჩილის** ელჩები, არქიმ. **გაბრიელი** და მესაწოლე თავადი **დიმიტრი ქვარიანი** მოსკოვში ჩავიდნენ, რათა ხელმწიფისთვის გადაეცათ ქართველი მეფის თხოვნა ოსების წინააღმდეგ ჯარის გამოგზავნის თაობაზე. მალე, ისარგებლა რა ნებართვით რუსეთში ჩასვლისა, თვით არჩილი ცოლ-შვილთან ერთად მოსკოვს გაემგზავრა. მას სხვადასხვა მიზეზთა გამო გზადაგზა შეყოვნება მოუხდა, მაგრამ 1685 წელს სამეფო ქალაქში ჩავიდა და რუსეთის ხელმწიფეთა აუდიენციის ღირსი გახდა.

1687 წლის 19 დეკემბერს, რუსეთის საელჩომ თბილისიდან ქართლის მეფე **გიორგის**, **არჩილის** ძმის, უწყება მიიღო, რომელიც წმ. დიდმოწამე გიორგის მონასტრის არქიმ. **ლავრენტიმ** წარადგინა. ამ უკანასკნელის სიტყვით, შაჰის იძულებით გიორგი თუმცა მუსულმანი გახდა, მაგრამ ქრისტიანულ სარწმუნოებას მაინც იცავდა. გიორგი თავის მხრივ მეფეებს სწერდა, რომ არჩილის წასვლით ურჯულოებმა ისარგებლეს და ქვეყანა ძლიერ ააოხრეს; მან კარგად იცის ეს მხარე და ზომების მიღებასაც უკეთ შეძლებს, თუ როგორ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი სამფლობელო და რუსეთის სახელმწიფოს როგორ შევუერთოთ. ამიტომ არჩილის საქართველოში დაბრუნება აუცილებელიაო.

იმერეთის მეფე ძმის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდა და თავის ვაუიშვილებთან, **ალექსანდრესა** და **მათესთან** ერთად საქართველოში გამოემგზავრა, ხოლო მისი მეუღლე დედოფალი **ეკატერინე დავითის ასული** მოსკოვში დარჩა, რომელსაც ამალასთან ერთად ყოფითი საჭიროებისთვის წარსაგებელი დაენიშნა, ყოველწლიურად 2000 რუბლის ოდენობით.

1689 წლის 26 ივლისს, მოსკოვში ბატონიშვილების, **ალექსანდრესა** და **მათეს** წარგზავნილი დიაკონი **გაბრიელი** ჩავიდა. საელჩო ოქმში გაბრიელის მიერ ჩაწერილია, რომ მეფე **არჩილმა** საქართველოში ჩასვლის შემდეგ თავისი ძმის, მეფე **გიორგისგან** შეიტყო მათი მხარდამჭერი თავადების მზადების შესახებ. თვით გიორგი კი, რომელიც ქართლიდან განდევნილი იყო ბატონიშვილ **ნიკოლოზ დავითის ძის** მიერ სპარსელთა ჯარის დახმარებით, მხოლოდ იმ იმედით ცხოვრობს, რომ ძმა თავშესაფარს მისცემს, თუკი მან იმერეთის დაბრუნება შეძლო.

მომდევნო, 1690 წელს, მეფე **არჩილისგან** მოსკოვში გაგზავნილი იმერელი მაცნე **მაკარი** ყვებოდა, რომ არჩილმა 7000-კაციანი ლაშქარი შეკრიბა; აქედან, რაჭის ერისთავის მიერ გამოყვანილი იყო 2000 კაცი, ხოლო დადიანის მიერ – 3000, დანარჩენი იმერლები იყვნენ. არჩილი რაჭაში შეეგება იმერეთის მეფე **ალექსანდრეს**, რომელიც იმერლებისა და თურქებისგან შემდგარ 15.000-იან ჯარს მეთაურობდა. მოწინააღმდეგის რაოდენობრივი უპირატესობის გამო, ერისთავმა **გიორგი** დადიანმა ბრძოლაში მონაწილეობაზე უარი თქვა. ბრძოლა ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ ორივე მხარემ მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა. არჩილი, ძმასთან და დადიანთან ერთად, ოდიშში გადავიდა, სადაც ელოდება სულთანის გადაწყვეტილებას იმერეთის ტახტის დაბრუნების თაობაზე.

თვით **არჩილი** რუსეთის ხელმწიფეთ წერდა, რომ მისმა ძმამ, **გიორგიმ** შაჰის სურვილი შეასრულა და მასთან ძმა **ლევანი** და ძე **ბაგრატი** გაგზავნა; იგი იმედოვნებს, რომ თავის სამფლობელოს დაიბრუნებს, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, რუსეთში გამგზავრებას აპირებს. თვითონ არჩილი კი თავის თავზე ყვებოდა, რომ იმერეთში ლაშქრობა მოვაწყვე, მაგრამ ღალატის გამო მარცხი განვიცადეო.

1693 წელს ბატონიშვილი **მათე** გარდაიცვალა.

1694 წელს, თურქული ჯარი სამი ფაშის მეთაურობით იმერეთის საზღვრებს მიუახლოვდა და მეფე **არჩილი** იძულებული შეიქნა, ქუთაისიდან ქართლში თავის ძმასთან, **გიორგისთან** წასულიყო. იმავე წლის ოქტომბერში, არჩილი ხელმწიფეებს აცნობებდა, რომ მას იმერეთი იმ შემთხვევაში დაუბრუნდებოდა, თუ რუსეთი ყირიმის ხანთან ომს შეწყვეტდა.

1695 წელს, **არჩილმა** რუს ხელმწიფეთ სამადლობელი წერილი გაუგზავნა იმის გამო, რომ აწ განსვენებულ მის ძეს **მათეს** დასაფლავებაზე მათი უმაღლესობის დასწრებით პატივი მიაგეს. ამასთან, იგი იმეორებდა თხოვნას ყირიმის ხანთან ომის შეწყვეტის თაობაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი სურვილიღა ჰქონდა, რომ თვითონაც რუსეთში მომკვდარიყო და თავის შვილებთან ერთად განესვენა.

პეტრე I

არჩილ II

1700 წელს, მოსკოვში იმერეთის მეფე **არჩილის** ჩასვლის შემდეგ, მას და მის ძეს **ალექსანდრეს**, ფულადი წარსაგებელის ნაცვლად, სასახლის საბატონო სამი ქალაქი გადასცეს, ყველა სოფელთან და სარგოსთან ერთად.

1703 წელს, თავადი **გოლოვინის** თხოვნით მეფე **არჩილი** საქართველოს იმჟამინდელ მდგომარეობას ამგვარად აღწერდა: საქართველოს ერთ ნაწილს შაჰი დაეუფლა, მეორეს – სულთანი. ამ უკანასკნელის ხელშია: სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო (ანუ ოდიში, ან კოლხეთი), გურია, აფხაზეთი და ჯიქეთი. ხალხი ყველგან აღიარებს ქრისტიანულ სარწმუნოებას, გარდა მცირე რაოდენობის სომხებისა და ებრაელებისა. დანარჩენ საქართველოს, ქართლსა და კახეთს, შაჰი ფლობს; მოსახლეობა აქაც ქრისტიანულია. თუ ხელმწიფე მათ დახმარებას გაუწევს, ქუდზე კაცი გამოვა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებსო.

არჩილი მეორე წერილით **გოლოვინს** თხოვდა, რომ ხელმწიფესთან ეშუამდგომლა რამდენიმე ქართულენოვანი საეკლესიო წიგნის დაბეჭდვის თაობაზე, რომელთაც საერთო მოხმარებისთვის სამშობლოში გააგზავნიდა.

1722 წლის 2 ივნისს, თავად **ბორის თურქისტანოვის** ხელით გაგზავნილ წერილში რუსეთის ხელმწიფე **პეტრე I** პრინც **ვახტანგს** (მეფე ვახტანგ VI) სწერდა, რომ სპარსეთის წინააღმდეგ აუცილებელი იყო სამხედრო ძალების გაერთიანება და ასევე, რაც შეიძლება სწრაფად, ლეკებზე თავდასხმა, რომლებიც საქართველოსაც და რუსეთსაც ზიანს აყენებენ.

ხელმწიფისადმი გაგზავნილი საპასუხო ეპისტოლეთი **ვახტანგი** სიხარულს გამოხატავდა წერილის მიღების გამო და არწმუნებდა მას რუსეთის გვირგვინოსანთა მიმართ თავის მორჩილებაში.

1725 წელს, მოსკოვში პრინც **ვახტანგთან** ერთად მისი ძე **ბაქარი** და ძმა **სიმონი** ჩავიდნენ. მმართველი სენატის ბრძანებით, პრინცის ოჯახს წარსაგებელი დაენიშნა, ყოველწლიურად 24.000 რუბლის ოდენობით რათა პრინცი ურჯულოთაგან სამშობლოს გასანთავისუფლებლად ხელსაყრელ დროს რუსეთში დალოდებოდა.

1726 წელს, რუსეთის მინისტრთა საბჭომ ქართველ პრინცს გააცნო საიდუმლო სახელმწიფო გეგმა, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ სპარსეთის მიმხრობას ისახავდა მიზნად. დიპლომატიური მისიის შესასრულებლად საუკეთესო კანდიდატად სწორედ **ვახტანგი** შეირჩა, რომლის თანაშემწედ და თანამოაზრედ გენერალ-ანშეფი, თავადი **ვასილი დოლგორუკი** დაინიშნა.

1727 წელს, სპარსეთში ვახტანგის ვიზიტი დაიწყო. ბოლოს, სპარსელ და რუს მინისტრთა შორის მრავალი კონფერენციის გამართვის შემდეგ, რომელთაც პრინცი ვახტანგი შუამავლობდა, ორივე მხარემ აღიარა ტრაქტატი, რომლის ძალითაც დერბენდი, ასტრაბადი და ტრაქტატში მოხსენიებული სხვა ოლქები რუსეთს მუდმივ სამფლობელოდ გადაეცა.

1728 წლის მარტის თვეში, ბრძანების საფუძველზე ვახტანგი სანქტ-პეტერბურგში დაბრუნდა.

1730 წელს, საქართველოდან ერისთავის მიერ წარგზავნილმა არქიმ. **არსენმა** ვახტანგს მოახსენა, რომ თურქები ითხოვენ ქართველთა თანხმობას რუსეთთან სასაზღვრო ტერიტორიებზე ციხესიმაგრეების ასაგებად; ისინი მოსახლეობასა და ბერ-მონაზვნებს თავიანთი სამკვიდროდან აძევებენ, სოფლებსა და დაბებს აპარტახებენ, ატყვევებენ და კლავენ ხალხს, მაგრამ განსაკუთრებულ უბედურებად ქართველებს მაინც ის მიაჩნიათ, რომ მმართველი და წინამძღოლი აღარ ჰყავთ.

1734 წლის 1 მაისს, სახელობითი ბრძანების მიღების შემდეგ, **ვახტანგი** და მისი ძე, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი **ბაქარი** საქართველოში ჩამოვიდნენ, მაგრამ, მიუხედავად მათთვის სახელმძღვანელოდ განკუთვნილი ვრცელი ინსტრუქციისა, არახელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციის წარმოქმნის გამო მამა-შვილმა მისიის გაგრძელება ვერ შეძლო და ისინი მომდევნო 1735 წელს მოსკოვში დაბრუნდნენ.

1740 წელს, იმერეთის მეფე **ალექსანდრემ** რუსეთის მეფის კარზე გაგზავნილი ეპისტოლეს პასუხი მიიღო, რომ თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალით დახმარება, ცოტა ხნით ადრე ოტომანთა პორტასთან დადებული ზავის გამო, რუსეთს იმჟამად არ შეეძლო.

1752 წელს, ქართლისა და კახეთის მეფეებმა, **თეიმურაზ** II-მ და **ერეკლე** II-მ პირველი ერთობლივი ნაბიჯი გადადგეს დიპლომატიურ სარბიელზე და რუსეთში საგანგებო ელჩობა გაგზავნეს თბილელი მიტროპოლიტის **ათანასე ამილახვრისა** და თავად **სიმონ მაყაშვილის** ხელმძღვანელობით. მათ საიმპერატორო კარზე უნდა წარედგინათ ოფიციალური თხოვნა საქართველოსთვის მფარველობის გაწევის შესახებ, მაჰმადიანთაგან თავის დასაცავად. ამასთან, ხელახალი დადასტურებისთვის ელჩებს მიჰქონდათ ქვეშევრდომობის ამსახველი სიგელები, რომელნიც ქართველ მეფეთა წინაპრებისთვის რუსეთის იმ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №178-181

პერატორებს ადრე ჰქონდათ ნაგოძები.

თეიმურაზ II

ვახტანგ VI

რუსეთში მყოფი ქართლის მაგრატიონების ინტრიგებისა და ელჩებს შორის ჩამოვარდნილი უსიამოვნების გამო აღნიშნული ელჩობა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ 1760 წელს მეფე **ერეკლეს** ინიციატივით რუსეთში კვლავ გაემგზავრა ელჩობა, რომელსაც მეფე **თეიმურაზი** თაოსნობდა. ქართველ მეფეთა სათხოვარს შეადგენდა ჯარი ან ფულადი სესხი, რათა მოძალეგული ლეკები აელაგმათ და შემდეგ ირანის შიდა პოლიტიკაზეც ზეგავლენა მოეხდინათ, მაგრამ იმხანად რუსეთი პრუსიასთან შვიდწლიან ომში (1756-1763 წწ.) იყო ჩაბმული და თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა. ამ არასახარბიელო პოლიტიკურ ვითარებას დაერთო **თეიმურაზ** II-ის მოულოდნელად გარდაცვალებაც პეტერბურგში, საიდანაც იგი ასტრახანში გადაასვენეს და მეფე **ვახტანგ** VI-ის გვერდით დაკრძალეს.

1768 წლის ნოემბერში რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო. იმპერატრიცა **ეკატერინე** II-ის მოწოდებას ქრისტიანი ხალხებისადმი, საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მარტოოდენ ქართველი მეფენი და ხალხი გამოეხმაურნენ; რაც მათ შემდეგ, მთელი ხუთწლიანი ომის განმავლობაში, საქმით დაამტკიცეს*.

ჯერ კიდევ 1768 წლის ივნისის თვეში, იმერეთის მეფე **სოლომონ ალექსანდრეს ძემ** პეტერბურგში ელჩები გაგზავნა: ქუთათელი მიტროპოლი **მაქსიმე** ერთ არქიმანდრიტთან და ორ ბერთან ერთად. სოლომონი იმპ. **ეკატერინესა** და გრაფ **ნ. პანინს** ატყობინებდა, რომ იგი უკვე თორმეტი წელია უმკლავდებოდა თურქებს, მაგრამ წინააღმდეგობის გასაგრძელებლად რუსეთის იმპერიასთან შეერთებას ან საბრძოლო მასალებით მომარაგებას ითხოვდა; ხოლო ბოლოს და ბოლოს თუ თურქებს წინ ვერ აღუდგებოდა, ნება დაერთოთ, რომ სხვა ქართველ მეფეთა მსგავსად საცხოვრებლად რუსეთში ჩასულიყო.

1768 წლის 30 ნოემბრით დათარიღებული წერილით, **ნ. პანინი** იმპერატრიცას სახელით მეფე **სოლომონს** სთავაზობდა, რომ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლესთან** ერთად თურქების წინააღმდეგ იარაღი აეღო, რისთვისაც თურქეთთან სამშვიდობო ზავის დადების შემდეგ სპეციალური პარაგრაფებით („არტიკულებით“) მათი სამეფოების ინტერესებიც გათვალისწინებული იქნებოდა. შემოთავაზებულ წინადადებას ორივე ქართველი მეფე უყოყმანოდ დათანხმდა, ოღონდ შეტევის განსახორციელებლად სოლომონმაც და ერეკლემაც რუსეთის დამხმარე ჯარის გამოგზავნა მოითხოვა. იმავდროულად, თურქეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობისთვის მზადყოფნა გამოხატა სამეგრელოს ერისთავმა **კაცია** დადიანმაც.

ბერდიაკონი გიორგი (რუხაძე).

(დასასრული მომდევნო ნომერში)

** სწორედ ამ პერიოდს, 1768-1774 წწ., მოიცავს ისტორიული დოკუმენტების შინაარსი, რომელიც ალ. ცაგარლის Грамота-ს პირველ ტომში არის შეტანილი; ხოლო ვ. მაჭარაძის მიერ აღნიშნული პერიოდი განხილულია „მასალების“ III ნაწილის I და II ნაკვეთებში.*

ნარიყალაც ინგრევა!


Kakha MCHEDLIDZE (RFE/RL)

ნარიყალას ციხესიმაგრე ევროპაში მდებარე განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის დასახელდა. ძეგლის შერჩევის კრიტერიუმები მისი ისტორიული მნიშვნელობა და ამჟამინდელი არასახარბიელო მდგომარეობა იყო. მარტში გადაწყდება, შევა თუ არა ის „განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლის პროგრამაში“, რომელსაც ორგანიზაცია „ევროპა ნოსტრა“ ახორციელებს.

თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ პროგრამაში მოხვედრა ნარიყალას რეკონსტრუქციისთვის საჭირო თანხის მოძიებას გააადვილებს. თავად პროგრამა ძეგლის სამუშაოების პირდაპირ დაფინანსებას არ ითვალისწინებს.

„პროგრამის სახელი ცოტა დამაბნეველია. „განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი“ ამ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ძეგლი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ხვალ და ზეგ დაინგრევა. ეს ნიშნავს, რომ ამ ძეგლს სჭირდება ყურადღება“, — ამბობს თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი ალექსანდრე ტოგონიძე.

ნარიყალა განსაკუთრებით დაზიანდა 1827 წელს, როდესაც თბილისში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მაშინ გამაგრების შიდა ნაწილი თითქმის განადგურდა, დაზიანდა გარე კედლებიც. ნარიყალას ციხე-სიმაგრეს დანგრევის საფრთხე ახლაც ემუქრება.

„2017 წელს თბილისის განვითარების ფონდმა სარეაბილიტაციო სამუშაოების ერთი ნაწილი ჩაატარა. წელს შევუკვეთეთ პროექტი, რომლის მომზადების შემდეგ გვეცოდინება, რა სახის სამუშაოებსა და ხარჯთან გვექნება საქმე“, — განმარტავს ალექსანდრე ტოგონიძე.

2016-2017 წლების სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში გაკეთდა:

- **ციტადელის აღმოსავლეთის კედელ-ბურჯის რესტავრაცია, ძველი სატრაპეზოს ნაცვლად, რომელიც მიდგმულია გალავანზე;**
- **აშენდა ახალი ნაგებობა (საერო სახლი);**
- **ჩატარდა სარესტავრაციო და გამაგრებითი სამუშაოები ციტადელის აღმოსავლეთ კედელზე (მე-2 და მე-8 ბურჯებს შორის);**
- **ამავე მონაკვეთში, გალავნის თავზე, მთელ გაყოლებაზე, დამთვალიერებლების გადაადგილების უსაფრთხოების მიზნით, მოეწყო აგურის დაბალი კედელი;**
- **შენობის მიმდებარედ არსებული ქუროს უძველესი ნაშთი დაიფარება შუშის კონსტრუქციით.**

თბილისი ნამდვილად ვახტანგმა დააარსა?

ნარიყალას ციხესიმაგრე ისტორიულ ცნობებში **პირველად IV საუკუნის ბოლოს მოიხსენიება.** ნარიყალაში, როგორც წესი, ან ქართველების, ან დამპყრობლების გარნიზონები იდგა, თუმცა, როგორც ისტორიკოსი გიორგი ჭანიშვილი ამბობს, აქ ბრძოლები ნაკლებად იმართებოდა. ნარიყალას არ ახსოვს ისეთი შეტაკებები, როგორიც საქართველოს სხვა ციხეებს.

„რეალურად, თბილისის დაარსებას ვახტანგ გორგასალს ტყუილად ვაბრალებთ, ქალაქი მანამდეც იყო. ნარიყალა მე-4 საუკუნისაა. 40 სებასტიანელი მოწამის ეკლესიასთან გათხრები განხორციელდა და აღმოჩნდა აბანო, რომელიც მეორე საუკუნის არის, ანუ აქ მეორე საუკუნეშიც დასახლება იყო“, — ამბობს გიორგი ჭანიშვილი.

თბილისელი არაბის ასტროფიზიკური ობსერვატორია

ნარიყალა ორ ძირითად ნაწილად იყოფა: მაღლა ციხე, სადაც ციტადელია, **და დაბლა ციხე, სადაც ვახტანგ გორგასლიდან მოყოლებული, სახელისუფლებო რეზიდენცია იყო.** თავდაპირველად ის შურის ციხედ იწოდებოდა, ხანაც — დედა ციხედაც. ტერმინი „ნარიყალა“ მოგვიანებით გაჩნდა. კომპლექსი მოიცავს კოშკებს, ეკლესიას, წყლით მომარაგების სისტემას... იმის გამო, რომ თბილისი ძალიან ბევრჯერ არის დანგრეული, ციხესიმაგრე სრული სახით არ შემორჩენილა.

„ნარიყალა მარტო ის არ არის, რასაც ახლა ვუყურებთ. მის გაყოლებაზე, ქართვლის დედის ცოტა იქით, არის არქეოლოგიური კვლევის კერა — შახ ტახტი. აქ VIII-XI საუკუნეებში ასტროფიზიკური ობსერვატორია იყო. სპარსულ წყაროებში მოიხსენიებენ კიდეც წარმოშობით არაბ თბილისელ ასტროფიზიკოსს“, — ყვება მერაბ ძნელაძე და ნარიყალას ახლანდელ მდგომარეობას ასე აღწერს: **„სამწუხაროდ, ეს სალოლიავები ძეგლი არ არის ისე წარმოჩენილი, როგორც საჭიროა. ზედა ნაწილი, ფაქტობრივად, მიტოვებულია, საჭიროებს გათხრებს, კვლევას, რესტავრაციას. იქ ძალიან სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი“.**

კერძოდ, რა სახის სამუშაოებია ჩასატარებელი და რა დაჯდება ნარიყალას გადარჩენა, თბილისის განვითარების ფონდს ჯერ დადგენილი არა აქვს. ფონდში აცხადებენ, რომ, მართალია, ნარიყალას პროგრამაში მოხვედრა თანხების მოზიდვას გააადვილებდა, მაგრამ ასეც რომ არ მოხდეს, ძეგლი მზრუნველობის გარეშე მაინც არ დარჩება.

თეა თოფურია,
რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი.

P.S. **ბანსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის ასევე დასახელებულია ახენზის რკინიგზა ავსტრიის ქალაქ ტიროლში, მოდერნ თეატრის შენობა ბულგარეთის ქალაქ სოფიაში, მიროგოის სასაფლაო კომპლექსი ხორვატეთის ქალაქ ზაგრებში, სენ დენის ეკლესია საფრანგეთის ქალაქ სენტომერში, მწვანე სისტემა გერმანიის ქალაქ კოლონში, ხუთი სამხრეთ ეგეოსის კუნძული საბერძნეთში, ჯუსტის ბაღი იტალიის ქალაქ ვერონაში, პალაცო ძენობიო იტალიის ქალაქ ვენეციაში, დეჩანის მონასტერი კოსოვოში, ცენტრალური ფოსტის შენობა მაკედონიის ქალაქ სკოპიეში და სან ხუანის სამლოცველო ესპანეთის ქალაქ კანტაბრიაში.**

„ქართუ“ კიდევ ერთ ისტორიულ ძეგლს აღადგენს

სლესის ციხის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო პროცესს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მომავალი წლიდან დაიწყებს.

ეროვნული კატეგორიის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე საფორტიფიკაციო ნაგებობის საკონსერვაციო პროექტის მომზადებას სააგენტო 2021 წლის პირველივე თვეებში უზრუნველყოფს, რომლის საფუძველზე ფიზიკური სამუშაოები უკვე გაზაფხულიდან დაიწყება. როგორც სააგენტოში განმარტავენ, საპროექტო დოკუმენტაცია 1948 წელს არქიტექტორ წილოსანის მიერ გამოხაზულ ანაზომებსა და 1977 წელს განხორციელებული რეაბილიტაციისას რესტავრატორთა ჯგუფის მიერ შესრულებულ ანგარიშებს დაეფუძნება, რომლებიც სააგენტოს არქივშია დაცული.

„დიდი ალბათობით, ისტორიული ნაგებობის ჩრდილოეთ მხარის კოშკის ჩამოშლილი ფრაგმენტის რესტავრაციისა და მისი არქიტექტურული სეგმენტების კომპლექსური რესტავრაცია-კონსერვაციის პროცესს ფონდი „ქართუ“ განახორციელებს, რომელთანაც ეროვნული სააგენტოს წინასწარი შეთანხმება უკვე აქვს“, — აღნიშნულია სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სლესის ციხის კოშკის სამხრეთ-დასავლეთი ფრაგმენტი რამდენიმე დღის წინ ჩამოიშალა. ადგილობრივი თვითმხილველების განმარტებით, ნგრევა ქვის საპირე წყობაზე დაცემულმა მეხმა განაპირობა.

შენი არ იცოდე და სხვისა არა გჯეროდესო!..



პროვინციული ნაციონალიზმით ახალ ისტორიას ვერ შევქმნით!

„თავისუფლება არის ყველაზე დიდი გულუხვობა, რომელსაც ზეცა მადლიანად აბერტყავს ხალხს. მას ვერც ერთი განძი ვერ შეედრება, ვერც ის, მიწის წიაღში რომ არის ჩამალული და ვერც ის, ზღვის ფსკერზე რომ დევს. თავისუფლებისთვის, ისე, როგორც ღირსებისთვის შეიძლება და აუცილებელიცაა სიცოცხლის გაწირვა. თავისუფლების არქონა ყველაზე დიდი უბედურებაა, რაც შეიძლება გადახდეს ადამიანს“, — ეს სიტყვები დიდმა სერვანტესმა დონ კიხოტს ათქმევინა — მრავალი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს უპოპულარესი რომანის გმირს.

დაახლოებით ასეთი გულუხვი თავისუფლება დააბერტყა კრემლმა (გადატანითი მნიშვნელობით ზეცამ) საბჭოთა რესპუბლიკებს 1991 წლის დეკემბერში, როდესაც ისტორიაში გადასულმა პირველმა და უკანასკნელმა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ტელევიზიით „ახარა“ საბჭოთა ხალხს, გიგანტი სოციალისტური კავშირი დაიშალაო!

მას შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა, მაგრამ ზემოდან ნაბოძებმა თავისუფლებამ ვერა და ვერ შვა ნანატრი თავისუფლების სადარი ცხოვრება. მიზეზი ამისა მრავალია, მათ შორის დამოუკიდებლად ქვეყნის მართვის ანა-ბანის უცოდინრობა; შესაბამისი დარგების სპეციალისტთა დეფიციტი; საკუთარის, საქვეყნოზე მაღლა დაყენება; ერთმანეთის გაუტანლობა; უმადურობა და სხვა.

„უპატრონოდ“ დარჩენილმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა — იძულებულებმა, საკუთარი ხელით გამოეჭედათ თავიანთი ცხოვრება, მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ნაბოძები თავისუფლება და აქედან გამომდინარე სუვერენიტეტი, თვალისდაუხამხამებლად, დაუფიქრებლად სხვას — უფრო ძლიერს და დიდს ჩააბარეს. ასე იცის უბრძოლველად მიღებულმა თავისუფლებამ.

ვიბრძოლეთ კიდევაც და სისხლიც დავღვარეთ, — აცხადებენ „თავისუფლები“, მათ შორის ჩვენც. ზოგი იმასაც ამბობს, რომ თავისუფლება, რომელიც კრემლმა გაიღო, შედეგი იყო ჩვენი ბრძოლისო, რაშიც პირადად მე ვერა და ვერ დავეთანხმები, ვინაიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მართვის სტრუქტურიდან და სისტემიდან გამომდინარე, ვერაფერი შეარყევდა მის არსებობას, თუ არა ისტორიულად ცნობილი „ციხე შიგნიდან ტყდება“-ს ფორმულა.

მარტივად რომ ვთქვათ, იმჟამინდელი კრემლი იყო დაშლის მოთავე და არა პატარ-პატარა ბუნტები, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა რესპუბლიკებში. სხვათა შორის, თანამედროვე საბჭოთა ისტორიის მკვლევარები იმასაც აცხადებენ, რომ ის ბუნტები კრემლის მიერ იყო ინსპირირებული და ორგანიზებული — იმჟამინდელი საბჭოთა ლიდერების შეკვეთილი, რომლებიც დასავლეთთან, კერძოდ აშშ-თან ჩახუტებულები, მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ დაენგრიათ საბჭოთა კავშირი!

განა, ამის უტყუარი საბუთი არ არის რუსეთის პრეზიდენტის ელცინის აშშ-ს კონგრესში წარმოთქმული სიტყვა, სადაც ის „ახარებს“ „პროგრესულ“ ამერიკას და დასავლეთს საზარელი ურჩხულის, ხალხთა საპყრობილის დაშლის შესახებ?!

განა, მან არ უსურვა ამერიკას დღეგრძელობა? განა, მან არ თქვა — ღმერთი ფარავდეს ამერიკას.

და როდესაც სწრაფი დაშლის სურვილი ამოძრავებდათ კრემლის ბინადართ, საბჭოთა კავშირიდან ეტაპობრივად გასვლაზე ხომ არავინ იფიქრებდა? მას, ვისაც ყოფილი მოკავშირის ბედი ადარდებს, ისე იქცევა, როგორც ევროკავშირი. განა, ინგლისის ევროკავშირიდან მრავალწლიანი გასვლის პროცედურა (ბრექზიტი) ამის მაგალითი არ არის?

თითქოს გორბაჩოვს ჰქონდა საბჭოთა რესპუბლიკების, საბჭოთა კავშირიდან გასვლის 5-წლიანი მექანიზმი, მაგრამ მიზეზთა გამო არ განხორციელდა და ნანატრი თავისუფლება, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის ცივი შხაპი გამოდგა.

ასე და ამრიგად, მსოფლიო რუკაზე გაჩნდნენ ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოები, რომლებმაც 30 წლის განმავლობაში თუ რას მიაღწიეს, ინგლისურად რომ ვთქვათ — „failed state“-ბაა, ანუ შეუმდგარი ქვეყნები, ზოგი უფრო მეტი დოზით, ზოგი — ნაკლებით.

საბჭოთა რესპუბლიკებმა, რომლებმაც შთამომავლობით მიიღეს საბჭოთა რესურსების ბაზა, ვერ შეძლეს ან ნაკლებად, დანატოვარის ეფექტიანი გამოყენება. რაც შეძლეს — სხვისთვის მიყიდვა იყო, ან ჯარად ჩაბარება. ამ მხრივ ყოფილი საბჭოელებიდან თავი ჩვენ და უკრაინამ გამოვიჩინეთ, ასევე ბალტიისპირა ქვეყნებმა, თუმცა ამ უკანასკნელთათვის, სხვა მოთხოვნები დაწესდა ევროკავშირში შესვლისთვის — საბჭოთა პერიოდში აშენებული მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დანგრევა.

შედეგი? — სავალალო.

ლიეტუვის 3,8 მილიონი მოსახლის, მილიონით შემცირება. სამუშაო ადგილების გაუქმება, უმუშევარი ლიეტუველები მასობრივი გადინება ევროკავშირის ქვეყნებში — მუშებად, დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოების შემსრულებლებად.

რაც შეეხება უკრაინას — სსრკ-ს ყველაზე განვითარებულ რესპუბლიკას, სტატისტიკის მიხედვით, მას გიგანტი საბჭოთა კავშირიდან მძლავრი სამრეწველო პოტენციალის მქონე საწარმოები ერგო — მსოფლიოში სიდიდით მესამე სტრატეგიული არსენალი. 1000-ზე მეტი ბირთვული საბრძოლო ქობინი და მისი სამიზნემდე მიტანის საშუალება; 43 სტრატეგიული რაკეტმატარებელი ბომბდამშენი: 23 — ტუ-95, 20 — ტუ-160; 241 შორსმფრენი ბომბდამშენი — ტუ-16, ტუ-22, ტუ-22მ; 260 მიგ-29 და სუ-27.

იმჟამინდელი მონაცემებით უკრაინა მსოფლიოში მე-3-მე იყო და უსწრებდა ევროპის ყველა ქვეყანას, აგრეთვე, იაპონიას და ჩინეთს.

უკრაინამ საბჭოთა კავშირიდან მიიღო ისეთი დარგები, როგორებიცაა რაკეტების წარმოება, ავიამრეწველობა, ძრავების წარმოება, გემთმშენებლობა. უკრაინა იყო საბჭოთა კავშირის ერთადერთი რესპუბლიკა, რომელიც აშენებდა ავიამზიდებს. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

რა გვაქვს დღეს? გაკოტრებული, გაღატაკებული ქვეყანა. 30 წლის განმავლობაში უკრაინის ხელისუფალნი საბჭოთა დანატოვრით ცხოვრობდნენ. გაყიდეს ყველაფერი — უძრავიც და მოძრავიც. უკრაინის გაყიდული ტექნოლოგიით ჩინეთმა, ჩრდილო კორეამ, ირანმა საკუთარი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები შექმნეს!!!

რაც შეეხება საქართველოს, მკითხველმა კარგად იცის, განვითარებული სამრეწველო-აგრარული ქვეყნიდან რას დავემსგავსეთ. ამდენად, მასზე ყურადღებას არ გავამახვილებ!

30 წლის განმავლობაში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რაც განვითარდა „გესტარბაიტერობაა“ ანუ უცხოეთში, ლუკმპურის საძებრად საკუთარი მოქალაქეების ექსპორტირება და მათ მიერ სამშობლოში დარჩენილი ოჯახისთვის ფულის გამოგზავნა, შემდეგ ამ დარჩენილების, იქ დარჩენა!წასულები არათუ უკან დაბრუნებას, გამოხედვასაც არ აპირებენ აქეთ... ანდა, ვის გამოხედონ, როდესაც ახლობლებიც იქ წაიყვანეს?

წარსულის გინება იქ ჩარჩენის მომასწავებელია

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, გართულნი ყოველდღიურ ჭირ-ვარამში, არც კი სვამენ კითხვას — რანი ვიყავით, რანი ვართ, რა გვინდა? რას მივაღწიეთ ნანატრი თავისუფლების დროს? ვართ კი თავისუფალნი და დამოუკიდებელნი?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ყველას გაუჭირდება. აქ საქმე საერთო ეროვნული იდეოლოგიის არარსებობაში კი არ არის, არამედ ნაციონალური, ეროვნული იდენტობის. ნაცია, ეროვნება — ეს არ არის ეთნოსი, ეს ხალხის ერთობაა, გააზრებული პოლიტიკური საერთო ინტერესით. ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა საკუთარი ახალი იდენტობის შექმნისთვის რაც მოახერხეს, ვიწრო ნაციონალიზმი და რუსეთთან დაპირისპირებაა. არადა, თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რუსეთის იმპერიაში შესვლამდე, ვერ დაიკვეხნის სახელმწიფოებრიობის ქონას, გამონაკლისი საქართველოა!

საბჭოთა კავშირმა ჩამოაყალიბა მომთაბარე ცენტრალური აზიიდან სახელმწიფოები — თავიანთი ენით, წეს-ჩვეულებებით, განათლებით, კულტურით. ვინ იფიქრებდა, რომ ამ და საბჭოეთში შემავალ სხვა ქვეყნებს მეცნიერებათა აკადემიები ექნებოდათ? თვალი გადავავლოთ კოლონიალიზმის ისტორიას, უდიდეს კოლონიზატორებს, დიდი ბრიტანეთის თამადობით და ვიკითხოთ — დაპყრობილ ქვეყნებში შექმნეს თუ არა მათ მეცნიერებათა აკადემია?

საბჭოთა პერიოდში ნასწავლ-ნაპატივებმა „ეროვნულად“ მოაზროვნეებმა, ჩამოაყალიბეს ფსევდო-ისტორიული მითი რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ ათასწლოვანი ბრძოლისა. ლოზუნგებიც გააჩინეს ასეთი — ჩვენ არ ვართ რუსები. ჩვენ ვებრძვით რუსეთს. რუსეთი აგრესორია. რუსეთი დაპყრობით გვემუქრება. ...

30 წლის განმავლობაში ვისმენთ ამ ვითომ ეროვნულ აღტყინებას და იმდენად გამოვიფიტეთ ერთიდაიგივეს მოსმენით, უნარიც კი არ გვაქვს, საკუთარ თავს მაინც დავუსვათ კითხვა — მერე რა, რომ რუს მტარვალს ვებრძოდით და ვებრძვით. „გავიმარჯვეთ“ კიდეც. შემდეგ რა?!

პატივცემულო მკითხველო, ცოტათი გადაჭარბებულად ხომ არ მიგაჩნიათ 30-წლიანი ლოზუნგური ბრძოლა რუსი ოკუპანტის, „ისტორიული მტრის“ წინააღმდეგ? ხომ არ თვლით, რომ „რუსეთის აგრესიის“ ლოზუნგის უკან სხვა გათვლაა — გამომძალველური? ყოფილები ხომ დასავლეთისგან ფინანსურ დახმარებას ითხოვენ — მუდმივი რუსული აგრესიის შეჩერების მიზნით? და ისინიც, „ხელი ხელს ბანს, ორივე — პირს“ პრინციპიდან გამომდინარე, ხან იარაღს აწვდიან რუსეთის შიშით „დამფრთხალ“ ყოფილ საბჭოელებს, ხან მსუყე დაფინანსებას რუსოფობიის კიდევ უფრო გასაღვივებლად.

აშშ-ს 2021 წლის ბიუჯეტში, რომელიც ახლახან, 1 ოქტომბერს შევიდა ძალაში, 700 მილიონი დოლარია ჩადებული, რუსეთის წინააღმდეგ ღონისძიებათა გასატარებლად!!! აგრეთვე, 24 მილიონი — რუსეთის პროპაგანდისა და დეზინფორმაციის შესაკავებლად. ეს საბიუჯეტო თანხები გათვალისწინებულია „რუსეთის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლისა და მოკავშირეთა დახმარების“ გრაფაში. მოკავშირეებად, უპირველეს ყოვლისა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები მოიაზრება.

ყოფილ საბჭოთა საზოგადოებაში ძველის და ახლის დაპირისპირება, რასაც თან ახლავს რუსოფობთა და რუსოფილთა დაპირისპირებაც, სერიოზული პოლიტიკური ძიძგილაობის სახეს იღებს, რაც საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნების დროს ვლინდება. იდეოლოგიური დაპირისპირების უამრავ მაგალითს ჰქონდა ადგილი ბოლო წლების არჩევნების დროს. მარტო წლევანდელი რად ღირს?!

წელს არჩევნები გაიმართა საქართველოში, მოლდოვაში, ბელარუსში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში — ყველა მათგანი იყო საკამათო, საზოგადოების დამაპირისპირებელი. ყველა მათგანზე დიდი გავლენა იქონია გარე ძალებმა. ყველა მათგანი წარიმართა რუსოფობიის ლოზუნგით. ყველა მათგანის დამახასიათებელი არ ყოფილა არც ახალი იდეოლოგია და არც ახალი ცხოვრების შექმნის სურვილი.

მოლდოვის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა მაია სანდუ — გამორჩეულმა პროდასავლელმა, რომელმაც განაცხადა, რომ მოლდოვის გზა დასავლეთია და არა რუსეთი. მართალია, მოლდოვაში არჩევნებს სახალხო ამბოხი არ მოჰყოლია, ისე, როგორც ბელარუსში ან სხვაგან, მაგრამ სანდუს პოლიტიკა უდავოდ გამოიწვევს ქუჩის დაპირისპირებას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში „ფერადი რევოლუციების“ რეკორდსმენი ყირგიზეთია. ამ ქვეყანაში არჩევნების დამთავრებიდან რამდენიმე საათში ოპოზიციის მიერ მთელი სახელმწიფო სტრუქტურა დაემხო.

სხვების ჩამოთვლა არ ღირს, ვინაიდან ფორმით და შინაარსით არაფრით განსხვავდება დანარჩენებისგან. ყოველივე კი იმის მაჩვენებელია, რომ ე.წ. ეროვნულმა ელიტებმა, „თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიმდევრებმა“, პოლიტიკური გამოცდილებისა და საერთო განათლების არმქონეებმა, მხოლოდ საკუთარი ბედნიერების და კეთილდღეობის მოსურნეებმა, 30 წლის განმავლობაში ვერ გამონახეს დრო ქვეყნისთვის საჭირო პოლიტიკურ-ეკონომიკური გზების ძიებისთვის. სრულად მიენდვნენ ე.წ. დასავლელ პარტნიორებს, რომელთა მიზანი არ არის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისგან დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყნების გამოჭედვა. მათი მიზანი მარტივია — მტერი რუსეთის საზღვრებთან მუდმივი დაძაბულობის შექმნა, რომელმაც რუსეთი უნდა აიძულოს იფიქროს ამაზე, დრო და ფინანსები დაახარჯოს ამას და არა მსოფლიოს მნიშვნელოვან საკითხებს.

განვლილი 30 წელი არასახელმწიფოებრივი აზროვნების, პოლიტიკოსთა უპრინციპობის აშკარა დემონსტრაციის წლებია, რაც სერიოზულ დაღს ასვამს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სადღეისო ცხოვრებას, სახვალიოზე რომ არაფერი ვთქვათ. განამტკიცებს იმავე დასავლელთა მოსაზრებას ამ ქვეყნების „ფეილდ სთეით“-ობასთან დაკავშირებით. პროვინციული ნაციონალიზმით, ანტირუსული კამპანიით და პროპაგანდით საკუთარი ისტორია ვერ შეიქმნება. ძველის და წარსულის გინება იქ ჩარჩენის მომასწავებელია.



ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

საშობაო დღესასწაული ერთმანეთს ვიდეოზარით მიულოცეთ!

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი მოუწოდებს მოქალაქეებს, თავი შეიკავონ საშობაოდ ოჯახის წევრების მონახულებისგან და სანაცვლოდ მათ დღესასწაული ვიდეოზარის საშუალებით მიულოცონ, როგორც ამას უცხოეთის ქვეყნების მისიაში მყოფი სამხედროები აკეთებენ.

„ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახლებიდან შორს დისლოცირებულმა ქალებმა და კაცებმა იციან, თუ რას ნიშნავს საყვარელ ადამიანებთან შეზღუდული კონტაქტი. მათ იციან, თუ რას ნიშნავს, ერთად ყოფნის ნაცვლად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთმანეთის სკაიპით ნახვა. ის, რაც ჩვენ საშობაოდ გველოდება, ჩვეული მოვლენაა საზღვარგარეთ მისიებში მყოფი ხალხისთვის“, — განაცხადა გერმანიის ლიდერმა. გერმანიაში 16 დეკემბრიდან მკაცრი კარანტინი გამოცხადდა, რომელიც სულ მცირე 10 იანვრამდე გაგრძელდება.

იტალია „წითელ ზონად“ გამოცხადდება

გამოცემა „გარდიანის“ ინფორმაციით, 24 დეკემბრიდან 6 იანვრამდე პერიოდში იტალიის მოქალაქეებს ნათესავებისა და მეგობრების მონახულების მიზნით, საკუთარი საცხოვრებელი სახლის დატოვება დღეში მხოლოდ ერთხელ შეეძლებათ.

შობიდან ახალ წლამდე პერიოდში იტალიის რეგიონებს შორის გადაადგილება შეზღუდული იქნება.

28, 29 და 30 დეკემბერს, ასევე 4 იანვარს შეზღუდვების ნაწილი მოიხსნება: მაღაზიები 21 საათამდე იმუშავებს, ხოლო მოსახლეობას გადაადგილება თავისუფლად შეეძლება.

ხალხი მოვწამლეთ იმით, რომ კორონა არ არსებობს...



„ჩვენ ხალხი მოვწამლეთ იმით, რომ კორონა არ არსებობს, ცრუ პანდემიაა. მღვდელი როგორ უნდა აყვეს კონსპირაციულ თეორიას, მღვდელი როგორ უნდა ინტერესდებოდეს კონსპირაციული თეორიებით, როცა ჩვენ ქრისტეს გარდა არაფერი უნდა გვაინტერესებდეს და უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი ღერი თმა არ ჩამოვარდება ღვთის განგებით ჩვენი თავიდან და როგორ უნდა ვძრწოდეთ და ვშიშობდეთ, მასონებს რა გეგმა აქვთ ან რას იზამენ?! აცრებით დაგვღუპავენ სულ ყველას?! ეს ეკადრება ქრისტიანს ზოგადად?! და მით უმეტეს, სასულიერო პირს?!

მაგრამ ჩვენ არა მარტო ამით ვაცდუნეთ ხალხი, არამედ ხალხს ვუთხარით, რომ ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ, ამიტომ არაფერი გვემუქრება. ეს იყო ყველაზე დიდი საშინელება, ამიტომ უნდა გამოვიდეთ, შევინანოთ და ხალხს ბოდიში მოვუხადოთ, როცა ასეთ რაღაცებს ვასწავლიდით“, — თქვა მამა თეოდორე გიგნაძემ ქადაგებისას.

კორონავირუსის სისუსტით მძლეველნი

ახლახან ჩინური წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერებმა გასაოცარი მონაცემები გამოაქვეყნეს, რომლებიც პეკინის ერთ-ერთ საავადმყოფოში კორონავირუსით დაავადებულ პაციენტებზე დაკვირვებასთან ის შედეგად მიიღეს.

ექიმები ვარაუდობენ, რომ სუსტი იმუნიტეტის მქონე პაციენტები „ინფექციისადმი ტოლერანტულები“ არიან.

სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ბოლო დროს მასმედიაში გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ **კოვიდთან ჭიდილში ადვილად იმარჯვებენ ისინი, ვისაც სუსტი იმუნიტეტი აქვთ.** თითქოსდა მათი იმუნური სისტემა სუსტად რეაგირებს კორონავირუსზე და არ რთავს იმუნური პასუხის მძლავრ მექანიზმს, როცა ორგანიზმი, ფაქტობრივად, თავის თავს კლავს. ამიტომაც, სუსტი იმუნიტეტის მქონენი უსიმპტომოდ ავადმყოფობენ.

მაინც როგორაა საქმე სინამდვილეში?

სპეციალისტების აზრით, შეიძლება სულ მცირე სამი მექანიზმის გამოყოფა, რომელთა მიზეზით ზოგიერთნი კორონავირუსისთვის შეუვალნი არიან. პირველია გარკვეული რეცეპტორის გენეტიკური **თავისებურებები, რომლის მეშვეობით ვირუსი ორგანიზმში** აღწევს. ზოგს ამ რეცეპტორის თანდაყოლილი აგებულება, შესაძლოა, ისეთი ჰქონდეს, რომ ის ვირუსისთვის „შესაერთებლად“ მოუხერხებელი იყოს. მეცნიერებს ჯერ-ჯერობით არ შეუძლიათ ამ თავისებურებისა და მის მქონეთა ვინაობის დადგენა, მაგრამ, აღნიშნავენ იმასაც, რომ **მსგავსი მექანიზმი გვხვდება იმუნოდეფიციტისადმი მდგრადობის დროსაც.** ამდენად, არის ისეთი ბედნიერი ხალხი, ვინც, უბრალოდ, სურვილის შემთხვევაშიც კი ავად ვერ გახდება რეცეპტორების განსაკუთრებული აგებულების გამო, რომელთა მეშვეობით ვირუსი ურთიერთობს იმუნურ უჯრედებთან.

მეორე გარემოება ისაა, როცა კონკრეტულ ადამიანს თანდაყოლილი იმუნიტეტის გარკვეული ელემენტები ძალიან ძლიერი აქვს. ისინი როგორც წესი, იმუნური სისტემის ის მდგენელები არიან, რომლებიც პირველები ხვდებიან ვირუსს. **მათ შორის მთავარია ინტერფერონის ცილა.**

კორონავირუსის ერთ-ერთი ვერაგი თვისებაა საწყის ეტაპზე ინტერფერონის გამომუშავების დათრგუნვა, რომლის დეფიციტის პირობებში ვირუსი ორგანიზმში სწრაფად ვრცელდება.

სამწუხაროდ, სადღეისოდ არ არსებობს ისეთი გამოკვლევები, რომელთა ჩატარებით შესაძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, თუ როგორი რეაქცია ექნება კონკრეტული ადამიანის ინტერფერონს კორონავირუსთან შეჯახებისას.

მესამე გარემოება უკავშირდება ეგრეთ წოდებულ კროსიმუნიტეტს. ამჟამინდელი კორონავირუსი სულაც არ არის ისტორიაში პირველი, **მას, პოპულარული ენით რომ ვთქვათ, „და-ძმანი“ ჰყავს, მათ შორის სეზონური კორონავირუსები, რომელთაც ჩვეულებრივ ყოფაში გაციებას ვეძახით.** ამიტომაცაა, რომ **სეზონური გაციებების აღმძვრელებთან შეხვედრების შედეგად ორგანიზმში გამომუშავებულ იმუნურ მექანიზმებს, ასევე კორონავირუსის ზოგიერთ ფრაგმენტებზეც ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ.** ამის შედეგად ორგანიზმი ახალ მტერს მზად მყოფი ხვდება, ინფექცია ყველაზე ადრეულ სტადიაზე იხშობა, ანდა ავადმყოფობა უფრო მსუბუქი ფორმით მიმდინარეობს.

მინაწერი: **ახალი ინფექცია ბევრ საიდუმლოს შეიცავს: პირველი კვირის მანძილზე ვირუსი აქტიურად მრავლდება და თუ რა მოცულობას მიაღწევს ორგანიზმში, ორ ფაქტორზეა დამოკიდებული: შეყრისას მიღებულ თავდაპირველ დოზაზე და ინტერფერონის, ანუ იმუნური სისტემის ცილის გამომუშავებაზე. მაგრამ, პირველი კვირის შემდეგ, როცა ვირუსის მძლავრი გამრავლება წყდება და გენეტიკური მასალის მხოლოდ ნაგლეჯებიღა რჩება, რაღაც უცნაური რამ ხდება: ორგანიზმის იმუნური სუპერრეაქცია სწორედ ამ ფრაგმენტებზე წარმოიშობა, რასაც უძლიერესი ანთება მოჰყვება. სწორედ ის იწვევს უმძიმეს გართულებებს, არსებითად, ადამიანს კლავს არა ვირუსი, არამედ SARS-COV-2-ის ფრაგმენტებზე ორგანიზმის დამახინჯებული რეაქცია.**

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასუსტებული იმუნიტეტის მქონე ცალკეული ადამიანები ჰიპერრეაქციისა და მისგან წარმოშობილი გართულებებისგან ნაკლებად იზარალებენ. მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ცალკეულ მექანიზმზე და არა მთლიანად დასუსტებულ იმუნიტეტზე! ინფექციის იოლი ფორმის გადასატანად, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ავადმყოფობის მეორე ეტაპზე იმუნური აფეთქებისთვის თავის არიდება, არამედ პირველ ეტაპზე კორონავირუსთან შეხვედრისას წარმატებით გამკლავებაც.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს

ღია კონკურსს

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

სამართლის ფაკულტეტი

მიმართულება — სამართალი
დარგი/სპეციალობა — კერძო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია — სამოქალაქო სამართლის პროცესი
ვაკანტური ადგილი — ასოცირებული პროფესორი— 2 საშტატო ერთეული

მიმართულება — სამართალი
დარგი/სპეციალობა — კერძო სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია — სამოქალაქო სამართალი
ვაკანტური ადგილი — ასოცირებული პროფესორი —- 2 საშტატო ერთეული

მიმართულება — სამართალი
დარგი/სპეციალობა — სისხლის სამართალი
ქვედარგი/სპეციალიზაცია — სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილი
ვაკანტური ადგილი — პროფესორი — 1 საშტატო ერთეული

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

მიმართულება — ბიზნესის ადმინისტრირება და სამართალი
დარგი/სპეციალობა — ბიზნესის ადმინისტრირება
ქვედარგი/სპეციალიზაცია — მენეჯმენტი
ვაკანტური ადგილი — ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული

მიმართულება — სოციალური და ქცევითი მეცნიერებები
დარგი/სპეციალობა — ეკონომიკა
ვაკანტური ადგილი — პროფესორი — 1საშტატო ერთეული
ასისტენტი — 1 საშტატო ერთეული

მიმართულება — მათემატიკა და სტატისტიკა
დარგი/სპეციალობა — სტატისტიკა
ვაკანტური ადგილი — ასოცირებული პროფესორი — 1 საშტატო ერთეული

მიმართულება — პერსონალური მომსახურებები
დარგი/სპეციალობა — მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება
ქვედარგი/სპეციალიზაცია - ტურიზმი
ვაკანტური ადგილი — პროფესორი — 1საშტატო ერთეული

საბუთების მიღება იწარმოებს 2021 წლის 01 თებერვლიდან 2021 წლის 12 თებერვლის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 15:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება: 2021 წლის 18 თებერვალს (ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი) და 19 თებერვალს (სამართლის ფაკულტეტი).

კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2021 წლის 25 თებერვალს.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: (+995 32) 2 66 15 12
ან მოგვწერეთ ფოსტაზე: info@gttu.edu.ge

◎ უცხოური პრესიდან

WASHINGTON POST: ათწლეულების მანძილზე საბჭოთა ჭადრაკში ქართველი ქალები დომინირებდნენ

ათწლეულების მანძილზე პატარა საქართველო მსოფლიოს საჭადრაკო არენაზე წარმოუდგენელ შედეგებს აღწევდა, ქართველ ქალებს კი გზა მათმა საკუთარმა გმირმა ნონა გაფრინდაშვილმა გაუკვალა. 1978 წელს ის ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი ქალი, რომელმაც ვაჟებში გროსმეისტერის ტიტული მიიღო. 79 წლის ასაკში ის დღესაც იმარჯვებს საერთაშორისო ტურნირებში და ასობით ქართველი გოგონასთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენს.

„ნონა პირველი ქალი იყო, რომელმაც ქალთა ჭადრაკი მამაკაცების დონეზე აიყვანა. ეს შეგვიძლია მარსზე და იუპიტერზე დაშვებას შევადაროთ, იმდენად წარმოუდგენელი რამ იყო“, — ამბობს ჭადრაკის ყოფილი ვარსკვლავი და ჟურნალისტი, ჭადრაკის ქართველი გენიოსებისადმი მიძღვნილი ფილმის „დიდება დედოფალს“ ავტორი მილუნკა ლაზარევიჩი. გაფრინდაშვილის გამარჯვება სხვა ქართველი ქალებისთვის შთაგონების წყარო გახდა. მაგალითად, ნანა ალექსანდრიასთვის, რომელმაც 20 წლამდე ასაკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი 3-ჯერ მოიგო.

ნონა გაფრინდაშვილს კიდევ ერთი ვარსკვლავი, მაია ჩიბურდანიძე ეთაყვანებოდა და სწორედ მან დაამარცხა თავისი კუმირი 1978 წელს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში.

მან, ისევე როგორც უკვე ხსენებულმა ნანა ალექსანდრიამ ქალი-გროსმეისტერის ტიტული მიიღო. აღსანიშნავია, რომ დღეს მსოფლიოში სულ 37 ქალი-გროსმეისტერია და მათ შორის 6 ქართველია.

„ჭადრაკი ჩვენ სისხლში გვაქვს“, — ამბობს ჭადრაკის ფედერაციის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფრო სოფიკო ნიკოლაძე.

მისი აზრით, ქართველ ქალებს ჭადრაკში განსაკუთრებით კარგად სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა ეხერხებათ და ეს ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარეობს.

„ქალებს მამაკაცებთან ერთად ბრძოლა და შრომა უწევდათ. ეს ჩვენი ხასიათის ნაწილია და იგი, ალბათ, თაობიდან თაობას გადაეცემოდა“, — მიიჩნევს სოფიკო ნიკოლაძე. ქართველი მოჭადრაკეების წარმატების მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლება მათ ავიწროებდა, რადგანაც ბევრ მაღალჩინოსანს არ მოსწონდა, რომ სსრკ-ს ნაკრები თითქმის მთლიანად ქართველებისგან შედგებოდა. 1978 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირის ნაკრები ბუენოს-აირესში მსოფლიო ჩემპიონატზე მიემგზავრებოდა, გუნდის დაკომპლექტებაში კრემლი ჩაერია.

„გაფრენამდე ცოტა ხნით ადრე ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი ნანა იოსელიანი რუსი მოჭადრაკით შეცვალეს. ეს წარმოუდგენელი ფაქტია და ასეთი ცვლილებები 1 საათში არ ხდება. კიდევ ერთხელ ასეთი ცვლილების მცდელობა 1980 წელს იყო, როდესაც ნაკრები მალტაში, ოლიმპიადაზე მიემგზავრებოდა, მაგრამ მაშინ საქართველოს სპორტის მინისტრი მოსკოვში სასწრაფოდ ჩაფრინდა და გუნდი, რომელიც მთლიანად ქართველებისგან შედგებოდა, უცვლელი დარჩა“, — ჰყვება ნანა ალექსანდრია.

დღეს საერთაშორისო ტურნირებზე საქართველოს ახალგაზრდა ქალების ახალი თაობა წარმოადგენს. ისინი გაიზარდნენ ძალიან მძიმე დროში, რომელიც სსრკ-ს დაშლას მოჰყვა.

„მახსოვს ჭადრაკის სასახლე უშუქობის პერიოდში, სანთლის შუქის თანხლებით როგორ ვთამაშობდი, ტოტალური დეფიციტის, შიმშილის, კრიმინალის თარეშის და სამოქალაქო ომის პირობებში“, — ყვება 33 წლის ნინო ბაციაშვილი, თანატოლებში 3-გზის მსოფლიო ჩემპიონი, რომელმაც ქალი-გროსმეისტერის ტიტული 2018 წელს მოიპოვა. საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, იმ დროს ქართველ მოჭადრაკე ქალებს სახელმწიფოსგან არავითარი დახმარება არ მიუღიათ.

„18 წლის რომ ვიყავი, შეჯიბრებებზე წიგნებით სავსე ჩანთით დავდიოდი, სხვებს კი ნოუთბუქები ჩამოჰქონდათ პარტიების გასაანალიზებლად“, — ამბობს ბაციაშვილი. წლეულს კორონავირუსის პანდემიის გამო მოჭადრაკეები ვერსად გადიან.

„მოჭადრაკეები ტურნირებში იმარჯვებენ და ამით არსებობენ, 2020 წელს კი მხოლოდ 2 ტურნირი გაიმართა, რაც ძალიან ცოტაა“, — ამბობს 22 წლის ნინო ხომერიკი, რომელსაც ქალი-გროსმეისტერის ტიტული 2019 წელს მიენიჭა.

შეჯიბრებებზე ჯერჯერობით არც ნონა გაფრინდაშვილი დადის, თუმცა, იმედოვნებს, რომ ჭადრაკისთვის ნორმალური ცხოვრება მალე აღდგება.

მოამზადა
თენგიზ აბლოთიამ

◎ ნდობა

ორ ფრონტზე

ნიჩბოსანი ზაზა ნადირაძე კანოეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. აღნიშნული ინფორმაცია სპორტსმენმა საკუთარ ფეისბუქზე გამოაქვეყნა.

ნადირაძე თანამდებობის მიუხედავად აქტიურ სპორტში მოღვაწეობას აგრძელებს.

„მინდა გაცნობოთ, რომ გუშინ გაიმართა საქართველოს კანოეს ეროვნული ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა ჩემმა კანდიდატურამ.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ დელეგატს გამოცხადებული ნდობისთვის. ასევე დიდი მადლობა დავით ქაცარავას იმ რთულად, მაგრამ ამავდროულად

წარმატებულად განვლილი რვა წლისთვის. მადლობა თქვენ, თითოეულ ჩემს გულშემატკივარს გვერდში დგომისთვის. აქვე ავღნიშნავ რომ ვრჩები აქტიურ სპორტში და ვაგრძელებ შრომას ჩვენი ქვეყნის წარმატებებისთვის“, — დაწერა ზაზა ნადირაძემ.

ბეჟან დოლიძე

◎ დიდების დარბაზი

რეკორდების ფაბრიკა

როგორც მოგეხსენებათ, 22 დეკემბერს სტარტს იღებს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალი სეზონი, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, მარათონული ტურნირის რეგულარული „ჯოჯოხეთის“ დაწყების წინ ნბა-ს ჯანმრთელობაშერყეული ცოცხალი ლეგენდა გაგახსენოთ.

მაშ ასე: 73 წლის ქარიმ აბდულ ჯაბარმა, პირველმა 20-წლიანი კარიერული სტაჟით, „მილუოკისა“ და „ლოს ანჯელეს ლეიკერზის“ მაისურებით, ექვსჯერ მოიპოვა ნბა-ს ჩემპიონის„ოქროს ბეჭედი“ და ორჯერ დაიმსახურა ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშის პრიზი.

სეზონის ექვსგზის უძვირფასესმა კალათბურთელმა ყველაზე მეტჯერ (19) ითამაშა „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში, 15-ჯერ მოხვდა სეზონის სიმბოლურ ნაკრებში და 11-ჯერ — საუკეთესო მცველთა სიმბოლურში.

რეგულარულში დაგროვებული ქულების რაოდენობით ლიდერი (38387) რეკორდსმენია აგრეთვე ზუსტი ტყორცნებისა და მოგებული შეხვედრების რაოდენობით. ქვეყნის ფერადკანიანი მოსახლეობის დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 1968 წელს მაშინ სრულიად ახალგაზრდა ტალანტმა უარი თქვა აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებში თამაშზე.

იგი 1995 წელს კალათბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს. რაც შეეხება სტატიის შესავალში



დასახელებულ პრობლემას, უმჯობესია, თვით ჯაბარს მოვუსმინოთ: **„სავსებით ვეთანხმები მოსაზრებას, რომ მაღლები და ფერადკანიანები შედარებით მეტად ვართ მიდრეკილნი გულისა და კიბოს დაავადებებისკენ და სხვებზე უფრო ხანმოკლედ ვცხოვრობთ. მე დამიდგინეს როგორც სწორი ნაწლავის სიმსივნე, ისე ლეიკემია და გადავიტანე შუნტირების ოპერაცია“.** ვერაფერს იტყვი — ერთი კაცისთვის, თუნდაც თაობათა კუმირისთვის, საკმარისზე მეტი განსაცდელია.

და მაინც, სიცოცხლე გრძელდება!

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

სეზონის გმირები

მართალია, კორონავირუსის პანდემიის გამო „ფრანს ფუტბოლმა“ წლეულს „ოქროს ბურთის“ მფლობელის გამოვლენისგან თავი შეიკავა, მაგრამ სეზონის უდავოდ გამორჩეული მოთამაშე რობერტ ლევანდოვსკი უჯილდოოდ მაინც არ დარჩენილა.

საუბარია მსოფლიოს 2020 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულზე, რომელიც 32 წლის პოლონელ ბომბარდირს ფიფამ სავსებით დამსახურებულად მიაკუთვნა ისეთ მრისხანე კონკურენტებთან დაუსწრებელ ბრძოლაში, როგორებიც ლეო მესი და კრისტიანუ რონალდუ არიან.

აღსანიშნავია, რომ მიმავალ სეზონში „ბაიერნის“ ლიდერმა 63 შეხვედრაში 71 გოლი გაიტანა და ყველა საკლუბო ტურნირი მოიგო როგორც გერმანიაში, ისე საერთაშორისო სარბიელზე, ხოლო სულ ბუნდესლიგაში 251(!) ბურთი დაუგროვდა, რაც მესამე შედეგია მის ისტორიაში კლაუს ფიშერისა (268) და ლეგენდარული გერდ მიულერის (367) შემდეგ.

გაგაცნობთ კიდევ რამდენიმე ნომინაციაში გამარჯვებულთა ვინაობას: **საუკეთესო მწვრთნელი** — იურგენ კლოპი („ლივერპული“);

საუკეთესო მეკარე — მანუელ ნოიერი („ბაიერნი“);

ულამაზესი გოლის ავტორი (ფერენც პუშკაშის პრიზის

მფლობელი) — ჰვონ მინ სონი („ტოტენჰემი“).

რაც შეეხება 2020 წლის სიმბოლურ ნაკრებს, ფიფამ ასეთ შემადგენლობას მიანიჭა უპირატესობა:

მეკარე — ალისონი (ლივერპული, ბრაზილია);

მცველები — არნოლდი (ლივერპული, ინგლისი), რამოსი (რეალი, ესპანეთი), ვან დეიკი (ლივერპული, ნიდერლანდები), დევისი (ბაიერნი, კანადა);

ნახევარმცველები — დე ბრუინი (სიტი, ბელგია), ალკანტარა (ლივერპული, ესპანეთი), კიმიხი (ბაიერნი, გერმანია);

თავდამსხმელები — მესი (ბარსელონა, არგენტინა), ლევანდოვსკი (ბაიერნი, პოლონეთი), რონალდუ (იუვენტუსი, პორტუგალია).

გიორგი შოთაძე

◎ მოკვეთეს!

კანონი კანონია!

ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლომ განიხილა რუსეთთან დაკავშირებით მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს მიერ შარშან დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილება 4-წლიანი დისკვალიფიკაციის თაობაზე და დაადგინა, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო სარბიელზე ვერ გამოიყენებს საკუთარ სახელსა და ისეთ სახელმწიფო ატრიბუტებს, როგორიცაა დროშა და ჰიმნი.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდვები ეხება 2021 წლის ტოკიოს ზაფხულისა და 2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონატებს სპორტის ყველა სახეობაში. ამავე დროს, რუს ათლეტებს შეუნარჩუნდათ სხვადასხვა რანგის ტურნირებში მონაწილეობის უფლება, მათ შორის ყატარში საფეხბურთო მუნდიალზე გამოსვლა, თუ, რა თქმა უნდა, წარმატებით დაძლევენ შესარჩევ ბარიერს, ოღონდ ზემოთ დასახელებული შეზღუდვების გათვალისწინებით. იგივე შეიძლება ითქვას 2022 წელს სანკტ-პეტერბურგში დანიშნულ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრაზეც. დისკვალიფიკაცია ძალაშია 2022 წლის 16 დეკემბრამდე.

კობა კობახიძე

სანთელი

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით უახლოესი და გამორჩეული მეგობრის, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, ღირსეული მამულიშვილის

გიორგი ცინცაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახსა და ახლობლებს.

გივი აბდუშელიშვილი, გივი აბზიანიძე, ვალერი ასათიანი, მერაბ ახობაძე, გიზო ბაქანიძე, ჯემალ ბერიძე, თამაზ გაბუნია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, თემურ თოფურიძე, ომარ კაჭარავა, ალიკო კობაიძე, ჯემალ კეთილაძე, რესან კონცელიძე, მიხეილ, ჯემალ, გიზო კუხალაშვილები, ნიკო ლეკიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, მურთაზ მამისეიშვილი, გრიგოლ ონიანი, რომან რურუა, გიორგი სალუქვაძე, ომარ სიამაშვილი, დავით სალარიძე, ზურაბ ქარუმიძე, მირზა ქორქაშვილი, თამაზ ყიფიანი, გრიგოლ შონია, ვაჟა შუბლაძე, ოთარ წეროძე, ვახტანგ ცხადაძე, სპარტაკ ქობულია, ოთარ ჭითანავა, გივი ჯაფარიძე

უახლოესი წრე, ჭეშმარიტად ერთი თაობა, უღრმესი მწუხარებით, უმძიმესი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა სანდო, გამორჩეული, მოსიყვარულე მეგობარი და დიდი ეროვნული სულის, დამსახურებული და ერთგული მოქალაქე

გოგი ცინცაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ჩვენი მეგობრობა ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის. ყოველთვის მოხარული, თბილი, სამეგობრო წრის წარჩინებული, კომკავშირის ორგანოებში და შინაგან საქმეთა სისტემაში ღირსეული და უნარიანი ხელმძღვანელი, სანიმუშო სამსახურებრივი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება — ასეთი იყო და დარჩება მისი სახე ჩვენს მეხსიერებაში.

გივი აბდუშელიშვილი, ზურა ლომიძე, ჯემალ ბერიძე, გრიშა შონია, ომარ სიამაშვილი, ვალერი ასათიანი, მერაბ ახობაძე, თამაზ გაბუნია, ზაურ გამსახურდია, თემურ თოფურიძე, გუგა იოსელიანი, ომარ კაჭარავა, ალიკო კობაიძე, დემიკო ლოლაძე, ჯემალ კეთილაძე, ოთარ მენაბდე, დათო სალარიძე, გოგი სალუქვაძე, ზურა ქარუმიძე, ვახო ცხადაძე, თამაზ ყიფიანი, ოთარ ჭითანავა.

გარდაიცვალა რეჟისორი დავით ანდღულაძე



64 წლის ასაკში რეჟისორი დავით ანდღულაძე გარდაიცვალა. დავით ანდღულაძე 1982-1985 წლებში მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში რეჟისორად; 1985 წლიდან იყო მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი. მარჯანიშვილის თეატრში მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სპექტაკლი იყო „გრაალის მცველნი“.

წლების განმავლობაში იყო ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი; „რკინის თეატრის“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, „ხელოვნების ცენტრის“ დამფუძნებელი და დირექტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დაზუსტება

16-17 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა მწერალ ზურაბ თორიას წერილი — „შერისხულ ქართველთა სულის ანარეკლი“, რომელშიც გაიპარა მცირეოდენი უზუსტობა: წერილის მთავარი პერსონაჟის გვარი ერთგან მოხსენიებულია როგორც ნიკოლოზ (კოკოშა) ჩხატარაიძე, უნდა იყოს ჩხატარაიშვილი.

სანთელი



ივანე გორგიძე

საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ახალგაზრდობის აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი **ივანე გორგიძე**, რომელმაც თავისი უაღრესად დატვირთული ცხოვრების გზა სახელოვნად განვლო ქვეყნისა და ხალხის თავდადებულ სამსახურში.

პროფესორი ივანე გორგიძე დაიბადა 1942 წლის 12 ივნისს, თბილისში. 1959 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1964 წელს.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში მუშაობდა სპი-ის პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1965—1978 წლებში, სამსახური გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში, შემდეგ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტში; 1975—1980 წლებში იყო საქართველოს სამეცნიერო-სასწავლო ცენტრ „ალგორითმის“ დირექტორი; შემდგომ მუშაობდა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში. 1996-2003 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საინჟინრო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი; საქართველოს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საზოგადოების სწავლული მდივანი; საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის განყოფილების ხელმძღვანელი.

1980 წელს ივანე გორგიძე დაინიშნა საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-კვლევითი გაერთიანების დირექტორად, რომელსაც სათავეში ედგა 2000 წლის ჩათვლით. მისი სამეცნიერო თემატიკის ინტერესს წარმოადგენდა მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია, მართვის პრობლემები, მართვის სისტემები, ორგანიზაციული სისტემების აგება და მართვა. არის აქტიური სისტემების მართვის თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი.

2007 წლიდან დღემდე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე.

ივანე გორგიძე არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აკადემიის აკადემიკოს-მდივანი; საერთაშორისო საინჟინრო აკადემიისა და ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი; რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის ნამდვილი წევრი; სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის — 10-ზე მეტი მონოგრაფია.

ბატონი ივანე გორგიძე უაღრესად კაცთმოყვარე და მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი გახლდათ. იგი დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენით“, საპატრიარქოს სიგელით, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის დიპლომით და სხვა მაღალი ჯილდოთი. ძნელი წარმოსადგენია ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოება ისეთი ღირსეული, მრავალმხრივი მეცნიერის გარეშე, როგორიც ბატონი ივანე გორგიძე გახლდათ.

მისი სახელი სამუდამოდ იცოცხლებს, როგორც ქვეყნისა და ხალხის საქმისადმი თავდადებული ჭეშმარიტი მამულიშვილი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიკის ფაკულტეტის 803-ე ჯგუფის 1964 წელს კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჯგუფელი მეგობარი— პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი და აკადემიკოს-მდივანი, საქართველოდან საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის წევრი, მოსიყვარულე და საქმისადმი თავდადებული პიროვნება

ვანო გორგიძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

გივი აბდუშელიშვილი, გურამ გამყრელიძე, ვალერი სანდოძე, ლევან რთველაძე, დიმა ცისკარიძე, ნუგზარ ჩაჩხიანი, თემურ ჩხატარაშვილი, ომარ ხორგუანი, მედიკო ანდღულაძე, ნათელა აბულაძე, დოდო გამყრელიძე, მაყვალა ტორონჯაძე, ლალი კაკაბაძე, თინა მარხვაშვილი, ლენა პირველაშვილი.

შალვა მგალობლიშვილი, გიორგი (ჟორა) საღარაძე, დაზი შეროზია, ჯემალ მებუკე, ალეკო ქუთათელაძე, დუდარ სანოძე, იური ჭოლოკავა, ბადრი თოფურია, მამუკა კვარაცხელია ოჯახებით თანაუგრძნობენ ნინო და ჯემალ უგულავებს დედისა და სიდედრის

ზაირა კუკულაძის

გარდაცვალების გამო.

გიორგი ნაჭყებია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ექიმი, უროლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი

შოთა ბესარიონის ძე სამუშია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ნათესავებსა და ახლობლებს.

ნანული (ნანა) გუნია დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი უახლოესი მეგობარი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრის თეატრალური დასის და მხატვრული კითხვის ხელმძღვანელი, ფოთის საპატიო მოქალაქე

ფოთოლა ქაჯაია

და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ახლობლებს, ნათესავებს.

სუიციდი თუ მკვლელობა?

საბერძნეთში საქართველოს მოქალაქე ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს. მამაკაცი ათენში სამუშაოდ იმყოფებოდა. დაღუპული ბათუმში მცხოვრები 38 წლის ვახო მაჩაბელია. რა გახდა მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი, ამას ათენის პოლიცია არკვევს. შესაძლოა ის მოკლულია, თუმცა ახლობლები თვითმკვლელობის ვერსიასაც არ გამორიცხავენ.

ახლობლების თქმით, ის ემიგრაციაში 15 წლის უნახავ დედასთან 2 წლის წინ წავიდა. პანდემიის პირობებში მან დაკარგა სამსახური და მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა ჰქონდა. სწორედ ამის გამო, ოჯახის წევრები არ გამორიცხავენ, რომ, შესაძლოა მას თავი მოეკლა. ბოლო პერიოდში ეს ათენში საქართველოს მოქალაქის დაღუპვის მეხუთე შემთხვევაა.

კულტურული მარშრუტები ქუთაისის გავლით!

2021 წელს ქალაქი ქუთაისი ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების რიგით მეათე საკონსულტაციო ფორუმს უმასპინძლებს.

შეთანხმებას ხელი საქართველოს მხრიდან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილმა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა იოსებ ხახალეიშვილმა, ხოლო ევროპის საბჭოს მხრიდან – გაერთიანებული წილობრივი შეთანხმების აღმასრულებელმა მდივანმა სტეფანო დომინიონმა მოაწერეს. 2021 წლის 29 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე საერთაშორისო ფორუმს ქუთაისი უმასპინძლებს. საკონსულტაციო ფორუმი წარმოადგენს ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების ქსელების ოპერატორების, კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენელთა ყოველწლიურ შეხვედრას ტურიზმის, მემკვიდრეობისა და კულტურის სფეროში. იგი კულტურული მარშრუტების ღონისძიებების პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ხელმოწერის ცერემონიას საპატიო წევრის სტატუსით ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში ნატალია ვუტოვა ესწრებოდა. ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა 2021 წლის ფორუმისთვის მომზადებული კლიპის პრეზენტაცია.

ჯენიფერ ლოპესი აგენტის როლში

პოპ-ვარსკვლავი და მსახიობი ჯენიფერ ლოპესი Netflix-ის ახალ ფილმში (The Cipher) მთავარ როლს შეასრულებს, რომელსაც იზაბელ მალდონადოს ბესტსელერის მიხედვით გადაიღეს.

კონოფილმში FBI აგენტზე ნინა გვერრეპოს შესახებ იქნება მოთხრობილი, რომელიც სერიული მკვლელის საქმეში იქნება ჩათრეული. სწორედ ამ როლზე დაამტკიცეს ჯენიფერ ლოპესი. ამასთან მწერალი თავად იყო FBI-ის სამსახურში 22 წლის მანძილზე, რამაც მას წიგნის დაწერისკენ უბიძგა. ამ დროისთვის სხვა დეტალებისა და ფილმის გამოსვლის შესახებ არაფერია ცნობილი.

პოლ მაკარტნიმ ახალი ალბომი გამოუშვა

პოლ მაკარტნის ახალი ალბომი გაყიდვაში უკვე გამოვა. McCartney III ლეგენდარული მუსიკოსის მიერ გამოშვებული ორი ალბომის, McCartney If McCartney II-ის გაგრძელებაა.

ტრილოგიის პირველი ალბომი მაკარტნი – 1970 წელს, მეორე ალბომი კი 1980 წელს ჩაწერა. 40 წლის შემდეგ 78 წლის მაკარტნიმ ტრილოგიის ბოლო ალბომის გამოშვება გადაწყვიტა, რასაც ხელი კორონავირუსის პანდემიის გამო გამოცხადებულმა ლოკდაუნმაც შეუწყო. 2020 წელს მუსიკოსს დატვირთული საგასტროლო გრაფიკი ჰქონდა, თუმცა კოვიდპანდემიამ მისი გეგმები შეცვალა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

უდანაშაულოდ 37 წელი მოიხადა



აშშ-ში, მიჩიგანის შტატში მცხოვრები კაცი 37 წელი ციხეში იმ დანაშაულისთვის იჯდა, რომელიც მას არ ჩაუდენია. კაცმა ციხე მას შემდეგ დატოვა, როცა მოწმემ აღიარა, რომ მის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მისცა. უოლტერ ფორბსი 1982 წელს დააკავეს. დაკავების წინა დღეს, მან ბარში მოჩხუბრები გააშველა, ჩხუბის ერთ-ერთმა მონაწილემ მას ესროლა, შემდეგ კი ეს კაცი გარდაცვლილი ნახეს, რისი მიზეზიც ხანძარი გახდა.

ბრალდების მხარის მოწმემ ენის კენებრევმა განაცხადა, რომ უოლტერ ფორბსი ხანძრის დროს, იმ ადგილზე იმყოფებოდა. შედეგად ამერიკელი მკვლელობისა და ხანძრის მოწყობის ბრალდებით გაასამართლეს.

2017 წელს მოწმემ განაცხადა, რომ ფორბსის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მისცა, რადგან ის ქალაქის მცხოვრებმა ორმა კაცმა შეაშინა და დაემუქრა, რომ თუ ასე არ მოიქცეოდა, მის ოჯახს რამეს დაუშავებდნენ. 63 წლის ფორბსმა ციხე 37 წლის შემდეგ დატოვა. ის მადლიერია მოწმის, იმისთვის, რომ ძალა მოიკრიბა, შეცდომა აღიარა და სიმართლე თქვა.

სექსუალურ მოძალადეს 9 საუკუნე პატიმრობა მიესაჯა

სერიულ სექსუალურ მოძალადეს, რომელიც დანაშაულებს თითქმის 30 წლის განმავლობაში ჩადიოდა, კალიფორნიის სასამართლომ 897 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

60 წლის როი ჩარლზ უოლერს, რომელიც NorCal Rapist-ის (ჩრდილოკალიფორნიელი მოძალადე) სახელით არის ცნობილი, განაჩენის მოსმენისას არავითარი ემოცია არ გამოუვლენია. მან უარი თქვა, მიემართა სასამართლოსთვის, ან მსხვერპლთათვის.

როგორც მისმა ადვოკატმა განაცხადა, უოლერი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და განაჩენის გასაჩივრებას გეგმავს.

როი უოლერი 9 ქალის გაუპატიურებაში, გატაცებასა და სექსუალურ ძალადობაშია ბრალდებული. 9-ვე მათგანმა ჩვენება მისცა სასამართლოს მოძალადის წინააღმდეგ. ისინი საუბრობდნენ იმ შიშსა და ტერორზე, რომელსაც უოლერის მხრიდან წლების განმავლობაში განიცდიდნენ.

ერთ-ერთმა მსხვერპლმა განაცხადა, რომ უოლერის დაკავების დღეს, 2006 წლის შემდეგ პირველად მიიღო შხაპი შიშის გარეშე. უოლერი, რომელიც სან-ფრანცისკოს ყურის არეალში, ქალაქ ბენიკიაში ცხოვრობდა, დააკავეს კალიფორნიის უნივერსიტეტში, ბერკლიში, სადაც ის 25 წლის განმავლობაში უსაფრთხოების სპეციალისტად მუშაობდა.

მოუხელთებელი კაციჭამია ლეოპარდი

ინდოეთის შტატ მაჰარაშტრაში, კაციჭამია ლეოპარდმა 35 დღეში 12 ადამიანი მოკლა. ნაკვალევის მიხედვით გაირკვა, რომ ადამიანებს თავს ერთი და იგივე ლეოპარდი დაესხა. ის ადამიანებს თავს ყოველ მესამე დღეს ესხმოდა. მიმდებარე სოფლების მოსახლეობა სახლების დატოვებას აპირებს.

ლეოპარდის დასაჭერად, შტატის სატყეო დეპარტამენტმა თავის ისტორიაში ერთ-ერთი მასშტაბური ღონისძიება ჩაატარა. ლეოპარდს 80 ადამიანი ეძებდა. მათ ტყეში 18 მახე დააგეს და 35 ვიდეოკამერა დაამონტაჟეს. თუმცა ცხოველმა გაქცევა შეძლო და მკვლელობების სერია გრძელდება.

ამასთან შტატის სატყეო დეპარტამენტმა სნაიპერი დაიქირავა. 11 დეკემბერს ლეოპარდის მოკვლა ვერც სნაიპერმა ვერ შეძლო. მან ცხოველს ესროლა, თუმცა ლეოპარდმა გაქცევა შეძლო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 23 დეკემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2747; ევრო - 4.0135;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.4264;
100 რუბლი - 4.4449; თურქული ლირა - 0.4263;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9267;
1000 სომხური დრამი - 6.2674.

ამინდი 21 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+7
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge